საქართველოში რეგიონული უთანასწორობების ანალიზი

შესავალი და ზოგადი მიმოხილვა

აღნიშნული დავალება მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონული განვითარების პროგრამის (RDP) განხორციელების ფაზაში მიმდინარე მონიტორინგისგან და წარმოადგენს რეგიონული განვითარების დაპროგრამების ზოგადი მიდგომის კიდევ ერთ ასპექტს, რომელიც:

- ჯერ კიდევ საპილოტე ეტაპზეა საქართველოში;
- არა აქვს შესაბამისი გარე / დონორული დაფინანსება;
- მოითხოვს შერჩევითობას (თუნდაც არსებული შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო).

იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც „ზემოდან ქვემოთ“ დამატებითი კომპონენტი რეგიონული განვითარების პროგრამისათვის "ქვემოდან ზემოთ" მმართველობის შესახებ **მონიტორინგის** გზით მიწოდებული ინფორმაციისთვის.

ეს დოკუმენტი ორიენტირებულია იმ ძირითადი მონაცემების განახლებაზე, რომელიც უშუალოდ უკავშირდება არსებული რეგიონული განვითარების პროგრამის (საქართველოს ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი) **პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს. რეგიონული განვითარების პროგრამის პირველ წელს აუცილებელია ყურადღების გამახვილება საბაზისო მნიშვნელობათა კონსოლიდაციაზე შესაბამისი ძირითადი დროითი მწკრივებისათვის, პროგრამის შემუშავების საწყის პერიოდში** (ანუ 2014 წლის ბოლო- 2015 წლის დასაწყისი). თუ რომელიმე მათგანი არსებითად განსხვავდება რეგიონული განვითარების პროგრამის ანალიტიკურ ნაწილში მოცემული ღირებულებებისა და ტენდენციებისაგან, ეს უნდა აღინიშნოს და ეუწყოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიას განხორციელების პირველი წლის ბოლომდე.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებული მიმდინარე „სადამკვირვებლო“ საქმიანობა შედარებით ახალი მოვლენაა წევრ- სახელმწიფოებში და ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გავრცელებული. 2 იგი აგრეთვე ხშირად ასახავს იმ შესაძლებლობებს / დაფინანსებას, რაც უბრალოდ არ არსებობს (და არც წარმოადგენს გონივრულ პრიორიტეტს) საქართველოში. თვით წევრ-სახელმწიფოებშიც, სადაც აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება, რეგიონური ცვლადების უწყვეტი მონიტორინგი, პოლიტიკის პრიორიტეტების კორექციის მიზნით, არ ხდება. აღნიშნული, როგორც წესი, გარკვეული პერიოდულობით ტარდება; ძირითადად, ახალი პროგრამის მოსამზადებელ პერიოდში (თუმცა, **შუალედური შეფასებების** შედეგად შეიძლება მოხდეს მისი გარკვეულწილად გადასინჯვა).

დღესდღეობით, სხვა მიმართულებით განახლების აშკარა საჭიროება არ არსებობს, გარდა იმ სტატისტიკური მონაცემებისა, რაც უკვე შესულია რეგიონული განვითარების პროგრამაში, და რაც, შეძლებისდაგვარად, უნდა გაიზარდოს რეგიონული განვითარების

პროგრამის მიმდინარე პრიორიტეტებსა და ღონისძიებებთან მიმართებით. ვინაიდან მიმდინარე რეგიონული განვითარების პროგრამა კონცენტრირებულია თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს შორის არსებულ მნიშვნელოვან უთანასწორობაზე, ანალიზის განახლებული ვარიანტიც იგივე მიდგომას ეყრდნობა. დოკუმენტში მნიშვნელოვნად მეტი ინფორმაციია წარმოდგენილი ეკონომიკური აქტივობების ტიპების შესახებ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე (როგორც ურბანულ ასევე სოფლის ტიპის დასახლებებზე). მაშასადამე ეს დოკუმენტი მეტად ყოვლისმომცველია, ვიდრე 2015 წლის ბოლოს მომზადებული დოკუმენტი. თუმცა დოკუმენტში არსებული რეკომენდაციები ისევ ძალაშია და წარმოდგენილია ქვემოთ.

1. საგზაო ინფრასტრუქტურა რეგიონული განვითარების პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მასზე მინიშნება განახლებულ იქნა არსებული მონაცემების მიხედვით. თუმცა, შემოღებულ იქნა კონკრეტული ადგილობრივი საინვესტიციო პროექტების შერჩევის ახალი პროცედურები და მიზანშეწონილია, რომ უთანასწორობის მაჩვენებლები, ისევე როგორც საგზაო პროექტების განსაზღვრისას გამოყენებული შერჩევის მეთოდოლოგია, დეტალურად იქნეს გადასინჯული 2016 წლის მარტის ბოლომდე.

2. გარდა ამისა რეკომენდებულია რეგიონალური დასაქმების მაჩვენებლების სრული გადასინჯვა (შედარებითი კონცენტრაციების ან კონცენტრაციის გათვალისწინებით) 2014 წლის საყოველთაო აღწერის სრული მონაცემების მიღების შემდეგ.

3. გრეთვე, რეკომენდებულია (2016 წლის მარტამდე) ანალიზს თან დაერთოს იმ არსებული ფინანსური რესურსების დეტალური აღწერა, რაც ორიენტირებული იქნება საჭიროებების დაკმაყოფილებასა და განვითარებაზე სუბნაციონალურ დონეზე (მათ შორის, თბილისთან მიმართებით) და ყველა იმ პროცედურაზე, რაც გამოიყენება აღნიშნული რესურსების დონის განსასაზღვრად.

***

1 თავი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი რესურსები

სურ. 1: საქართველოს მდებარეობა

საქართველო მდებარეობს შავ და კასპიის ზღვებს შორის და, ტერიტორიული ზომის თვალსაზრისით, ირლანდიისა და ჩეხეთის რესპუბლიკების მსგავსია. ისტორიულად იგი საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთ უმთავრეს გზაჯვარედინს წარმოადგენდა და, დღესაც, საქართველო ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფანია (იხ. მე-3 ნაწილი).

ჩრდილოეთით, საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან დიდი კავკასიონის ქედზე გადის, რომლის სიმაღლე 5000 მეტრზე მეტია. სამხრეთის საზღვარი კი, რომელიც ქვეყანას თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებისგან ყოფს, მცირე კავკასიონსა და ჯავახეთის ზეგანს მიჰყვება. დიდი კავკასიონი - ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლო, ჰიდრო-ელექტრო და ხე-ტყის რესურსების მნიშვნელოვანი წყარო და ტურისტული პოტენციალის მატარებელია.

საქართველოს დასავლეთ საზღვარს შავი ზღვის სანაპირო ქმნის, ხოლო აღმოსავლეთით აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ მე-20-ე საუკუნის განმავლობაში, სასოფლო-სამეურნეო და ურბანული განვითარების გამო, საქართველოს დაბლობი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ხეები გაიჩეხა, ქვეყნის მთლიანი ფართობის 40% ჯერ ისევ ტყითაა დაფარული. საქართველო გამოირჩევა კლიმატური ზონების მრავალფეროვნებით და ნაყოფიერი მიწებით, რაც ყოველთვის წარმოადგენდა ღირებულ აქტივს ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვის. მეორე მხრივ, ტოპოგრაფიულმა მრავალფეროვნებამ შეიძლება შექნას მნიშვნელოვანი ბარიერი ფიზიკური ინფრასტრუქტურის აგებისას და, აგრეთვე, გახდეს ბუნებრივი კატასტროფების ხელშემწყობი ფაქტორი.

საქართველოს მნიშვნელოვანი ჰიდრო-ელექტრო რესურსები გააჩნია (რაც ქვეყნის ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დიდ ნაწილს აკმაყოფილებს). აღსანიშნავია, ასევე, მინერალური წყლების მრავალფეროვნება, რომელთაგან რამდენიმე წარმატებულად

იყიდება საერთაშორისო ბაზრებზე. სხვადასხვა დროს საქართველოში წარმატებით მოიპოვებდნენ მანგანუმს, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და რკინას.

2. მოსახლეობა და დემოგრაფია

საქართველოს მიერ, 1991 წელს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი, მწვავე პოლიტიკური სიტუაციისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, მკვეთრად შეიცვლა. მოსახლეობის შემცირება, მნიშვნელოვანწილად, მიგრაციამ განაპირობა. 1990-2005 წლების განმავლობაში საქართველომ მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 20% დაკარგა. ყველაზე დიდი დანაკარგი 1993-1997 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ქვეყანაში მოსახლეობა ერთი მილიონით შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1990-იან წლებში მოსახლეობის კლება საქართველოს ყველა რეგიონში აღინიშნა, აღნიშნული პროცესის შედეგი განსაკუთრებული სიმძიმით მაღალმთიან რეგიონებში, მონო-ინდუსტრიულ ქალაქებსა და იმ ქალაქებში აისახა, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს ეთნიკური უმცირესობები (სომხები და აზერბაიჯანელები) შეადგენდნენ. რაც შეეხება მიმდინარე სიტუაციას, მოსახლეობის საყოველთაო აღწერამ გამოავლინა, რომ აღნიშნული ტენდენცია კვლავაც გრძელდება, საპირისპიროს იმედის მიუხედავად.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში 2014 წლის ნოემბერში ჩატარდა. აღნიშნული გახლდათ 12 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა, როდესაც აღწერა მოიცავდა სრულიად საქართველოს, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა (მანამდე საყოველთაო აღწერა 2002 წელს ჩატარდა). წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით, 2015 წლის 5 ნოემბრისთვის საქართველოს მოსახლეობამ შეადგინა 3 729 635 ადამიანი, რაც 2002 წლის აღწერის შედეგებთან (4 371 535 ადამიანი) შედარებით 14.7% -ით ნაკლები აღმოჩნდა (641 900 ადამიანი). რეგიონების მოსახლეობის 2002 და 2014 წლის შედარებითი მონაცემები წარმოდგენილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1: საქართველო, მოსახლეობა რეგიონების მიხედვით 2002-2014

რეგიონი	2002	2014	% Growth
თბილისი	1 081 679	1 118 035	3,4
აფხაზეთი, ავტონომიური რესპუბლიკა	1 956	Not available	Not available
აჭარა, ავტონომიური რესპუბლიკა	376 016	336 077	-10,6
გურია	143 357	113 221	-21,0
იმერეთი	699 666	536 052	-23,4
კახეთი	407 182	319 144	-21,6

მცხეთა-მთიანეთი	125 443	94 370	-24,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50 969	31 927	-37,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	466 100	331 145	-29,0
სამცხე-ჯავახეთი	207 598	160 262	-22,8
ქვემო ქართლი	497 530	424 769	-14,6
შიდა ქართლი	314 039	264 633	-15,7
სულ	**4 371 535**	**3 729 635**	**-14,7**

წყარო: საქსტატი

ეკონომიკური აქტივობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსახლეობის გადანაწილების ტიპებზე ნებისმიერ ქვეყანაში და მოსახლეობის გადანაწილების ამ ტიპებს, თავის მხრივ, გავლენა აქვს ეკონომიკური აქტივობების სახეობებზე. შემცირება გაცილებით მეტად გამოიხატა სოფლის მოსახლეობის ფარგლებში (-23.38 % 2002 და 2014 წლებს შორის), ვიდრე ქალაქის მასშტაბით (-6.3%). აქედან გამომდინარე, მოსახლეობის განსახლების სასოფლო/ურბანული მოდელი საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა; დღევანდელი მდგომარეობით, ურბანული მოსახლეობა შეადგენს ერთიანი ოდენობის 57.4%-ს.

დედაქალაქში ახლახან ჩატარებული აღწერის მიხედვით, თბილისში 1 118 035 ადამიანი ცხოვრობს, რაც 3.4 %-ით აღემატება წინა აღწერის მონაცემებს. მიუხედავად იმისა, რომ მატება ძირითადად განპირობებულია თბილისის ტერიტორიული გაფართოებით მცხეთისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების სოფლის ტიპის დასახლებების შემოერთების ხარჯზე, მოსახლეობის ზრდის ტენდენცია უდავოა. თბილისის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 5.2 პროცენტული ერთეულით გაიზარდა და 30% შეადგინა.

ურბანული მოსახლეობის ზრდა აღინიშნა ქ. ბათუმშიც (26.3%), რაც ძირითადად გამოიწვია ქალაქის საზღვრების გაფართოებამ და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი დასახლებების შემოერთებამ. წინა აღწერასთან შედარებით ყველაზე მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა ქ, რუსთავში (7.3%), რომლის მოსახლეობამ 124 908 ადამიანს მიაღწია (იგივე საზღვრების პირობებში, რაც იყო 2002 წელს). მიუხედავად ამისა, თბილისის გარეთ, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის მოსახლეობა აღემატება 100 000-ს. რეგიონულ ჭრილში ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება, 2002 წლის აღწერასთან შედარებით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის (-37.4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (-29%) რეგიონში, ხოლო ყველაზე ნაკლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (-10.6%) დაფიქსირდა.

საყოველთაო აღწერის საბოლოო, დეტალური შედეგები გამოქვეყნდება 2016 წლის აპრილში და მნიშვნელოვანად იმოქმედებს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა საქართველოში რეგულარული ხასიათის მთელ რიგ კვლევებში.

როგორც ნათლად არის ნაჩვენები ქვემოთ ,გამოსახულებაში #2 , მოსახლეობის

უმრავლესობა კონცენტრირებულია ვიწრო ხეობაში, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის ქედის არმოსავლეთ- დასვლეთით მდებარეობს, ასევე შავი ზღვის სანაპიროზე. დასახლებები და მოსახლეობის სიმჭიდროვე მაღალია ამ ტერიტორიებზე. ამვდროულად მარალმთიან და სხვა პერიპერიული ადგილებში მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია.

ყველაზე მეტად დასახლებულ ადგილებშიც კი მნიშვნელოვანი უთანსწორობები არსებობს დიდ ქალაქებსა და მათ მიმდებარედ, სოფლის ტიპის დასახლებებს შორის, ხშირად იგივე მუნიციპალიტეტების ფარგლებში. როდესაც ადმინისტრაციული რეგიონების სიტუაციას განვიხილავთ, ასეთი შიდა უთანსწორობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამის ერთერთი მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ საქართველოს ადმინისტრაცილი რეგიონების გამოყენება, როგორც ანალიზის ერთადერთი ან მთავრი მიმართულება დოკუმენტის დამახინჯებას გამოიწვევს. საქართველოს რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობების მთავრი მახსიათებლები საქართველოში (როგორც სხვა უმეტეს ადგილებში) არ შეესაბამება ადმინისტრაციული რეგიონების საზღვრებს. (ადმინისტრაციული რეგიონები უნდა ქმნიდნენ თუ არა შესაბამის ჩარჩოს რეგიონული განვითარების აქტივობების ორგანიზებასა და მიწოდებას სრულიად განსხვავებული საკითხია).

გამოსახულება 2. მოსახლეობის სიმჭიდროვე მუნიციპალიტეტების მიხედვით (ადამიანი/კმ²)



წყარო: მსოფლიო ბანკი 2015, საქსტატზე დაყრდნობით

მოსახლეობის სიმჭიდროვე, სასოფლო და ურბანული დასახლებების ტიპები და ზომა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან რეგიონების მიხედვით. დაბლობები (რომელიც მოიცავს ძირითად სატრანსპორტო მარშრუტებს და ყველაზე ნაყოფიერ ადგილებს) და შავი ზღვის სანაპირო ზოლი უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე მაღალმთიანი რეგიონები, განსაკუთრებით დიდი კავკასიონი. მიუხედავად იმისა, რომ ურბანული დასახლებების რიცხვი ქვეყანაში 100-ს აჭარბებს, მხოლოდ ოთხი მათგანის მოსახლეობა აღემატება 100 000-ს. (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი).

მოსახლეობის არათანაბარი განაწილების ყველაზე თვალსაჩინო ასპექტია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მზარდი კონცენტრაცია თბილისში. (იხილეთ გამოსახულება 3) როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 30% დედაქალაქში ცხოვრობს და თუ გავითვალისწინებთ მიმდებარე ტერიტორიებს, განსაკუთრებით რუსთავს და მცხეთას, პროპორცია კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, ვინაიდან თბილისიდან წასული ადამიანების უმრავლესობის განათლების დონე, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ისე მას შემდეგ შედარებით მაღალი იყო, ემიგრაციამ დარჩენილი მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისითაც იქონია ქვეყანაზე ზეგავლენა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ ნაწილობრივ დააკომპენსირა ქალაქის მოსახლეობის კარგვა, აღნიშნულმა უარყოფითად იმოქმედა ქალაქის სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონესა და სამსახურისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პოლიტიკური დაძაბულობისა და შეიარაღებული კონფლიქტის ფონზე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოვიდა საქართველოში.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, 2014 წლის სექტემბრისთვის ლტოლვილთა რაოდენობამ 259 247 (86 283 დევნილი ოჯახი) შეადგინა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მესამედზე მეტი ცხოვრობს თბილისში, ამდენივეა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშიც, ყველა დანარჩენ რეგიონში მათი რიცხვი გაცილებით ნაკლებია.

გამოსახულება 3. ურბანული დასახლებების რანგირება მათი ზომის მიხედვით, სადაც მოსახლეობა 10,000-ზე მეტია (2015)


წყარო: საქსტატი

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის კუთხით, საქართველოს უმეტეს რეგიონში ზრდასრულთა 90%-ზე მეტი ეთნიკური ქართველია. მთავარ ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ სომხები და აზერბაიჯანელები. სომეხი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთში, მაშინ, როდესაც აზერბაიჯანელები დასახლებულნი არიან ქვემო ქართლსა და კახეთში. შიდა ქართლის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ ოსები, ხოლო რუსების პროცენტული წილი დედაქალაქის მოსახლეობაში კიდევ უფრო ნაკლებია. როგორც აღვნიშნეთ, ახალი საყოველთაო გამოკითხვის შედეგები, რომელიც ცნობილი გახდება 2016 წელს, გამოავლენს უფრო ზუსტ დეტალებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

3 ფიზიკური ინფრასტრუქტურა

ტრანსპორტი

საავტომობილო გზების ქსელი საქართველოში 20 000 კმ-ს აღემატება. საერთო სარგებლობის გზები სამ კატეგორიადაა დაყოფილი: საერთაშორისო მნიშვნელობის, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებად. 2007 წლის იანვრიდან ადგილობრივი მნიშვნელობის გზები მუნიციპალიტეტების

დაქვემდებარებაშია. იმავდროულად, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების 2000 კმ-ზე მეტს შიდასახელმწიფოებრივი გზების სტატუსი მიენიჭა.

ქვე-ეროვნულ დონეზე, რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიები (და მათთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმები) უფრო სისტემატურ მეთოდოლოგიებს გვთავაზობენ დაფინანსებისთვის პროექტების პრიორიტიზირების კუთხით. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონული მხარდაჭერით მიმდინარე ადგილობრივი გზების პროექტებისათვის.

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების ქსელისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ყოველწლიურად უზრუნველყოფს მონაცემების (მოძრაობის ნაკადები (AADT), საფარის საერთაშორისო უსწორმასწორობის კოეფიციენტი (IRI)) განახლებას, დამუშავებას და საერთაშორისოდ აპრობირებული საგზაო საფარის მოდელირების სისტემით (HDM4) 5-წლიანი გეგმის მომზადებასა და განახლებას. ამჟამად, არ არის დანერგილი ხიდების ინვენტარიზაციისა და დაგეგმარების სისტემა. აღნიშნული სისტემის შემუშავება, ისევე, როგორც დამატებითი საველე აღჭურვილობის შესყიდვა, მიმდინარეობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით.

ბოლო წლებში გახორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების მიუხედავად (განსაკუთრებით საერთაშორისო მნიშვნელობის გზებზე), ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოითხოვს შემდგომ ძალისხმევას, განსაკუთრებით - რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე. რაც შეეხება სოფლებს, მათი უმრავლესობის პრობლემა ცუდი გზებია, განსაკუთრებით - მაღალმთიან რეგიონებში.
საქართველოში სულ რაღაც 1100 კმ-ზე ოდნავ გრძელი მოქმედი სარკინიგზო მაგისტრალია.[1] 15000-ზე მეტი თანამშრომლის მიუხედავად, საქართველოს რკინიგზა, მგზავრთა გადაყვანის თვალსაზრისით, არაარსებით როლს თამაშობს, თუმცა ტვირთბრუნვის კუთხით, იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. სატვირთო გადაზიდვების 40%-ზე მეტი, სწორედ, საქართველოს რკინიგზაზე მოდის. ვინაიდან სარკინიგზო ქსელი, ძირითადად, საქართველოს მთავარ ურბანულ ცენტრებს აკავშირებს, რეგიონული შეუსაბამობის არსებობა, მიწოდების კუთხით, გარდაუვალია (თუნდაც ქვეყნის რთული გეოგრაფიული რელიეფის გამო). კახეთში, მაგალითად, რკინიგზაზე ხელმისაწვდომობა დაბალია მოსახლეობის დიდი რაოდენობისა და გეოგრაფიული ბარიერების არარსებობის მიუხედავად. სამხრეთ საქართველოს ორ რეგიონს (ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) გადაკვეთს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რაც მათ აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების

[1] საქართველოს რკინიგზა.

მაგისტრალური ცენტრის ფუნქციას შესძენს.

ცხრილი 2: გზების სიგრძე (კმ) საქართველოში კლასისა და რეგიონების მიხედვით (2014)			
	სულ	საერთაშორისო გზა	მეორეული გზა
თბილისი	52.0**	52.0**	_
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	1565.9	54.3	152.9
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	594.6	204	401.6
გურია	884.5	63.8	220.6
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო-სვანეთი	1276.7	_	388.3
სამეგრელო - ზემო სვანეთი	2765.7	122.7	740.9
იმერეთი	2648.7	143.6	785
კახეთი	2645.3	125	716.2
მცხეთა - მთიანეთი	1456.6	178.7	426.5
სამცხე-ჯავახეთი	1519.7	234.5	300.1
ქვემო ქართლი	1998.4	221.9	641.8
შიდა ქართლი	1640.9	202.5	524.2
საქართველო - სულ	19049.0	1603.0	5298.1

წყარო: საქსტატი

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ოთხი მოქმედი საზღვაო პორტია: ფოთი და ყულევის ნავთობტერმინალი - სამეგრელო-ზემო სვანეთში, ბათუმი - აჭარაში და სუფსის ნავთობტერმინალი - გურიაში. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებზე პორტების ინფრასტრუქტურის ზეგავლენის დეტალური შეფასებისთვის საკმარისი მონაცემები არ მოგვეპოვება, აღნიშნული პორტების მნიშვნელოვნება, მთლიანი დამატებული

ღირებულების (მდღ) მონაცემებიდან გამომდინარე, აშკარაა[2].

ამჟამად, საქართველოს სამი საერთაშორისო და ერთი შიდა აეროპორტი ემსახურება. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ყველაზე დატვირთულია. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის აეროპორტით მოსარგებლე მგზავრთა რაოდენობა ყოველწლიურად, სტაბილურად იზრდებოდა, აღნიშნულმა რიცხვმა, 2014 წელს, 1.5 მილიონს გადააჭარბა. მასზე აერომგზავრთა მთლიანი ბრუნვის 78% მოდის და სხვა აეროპორტებთან შედარებით, ყველაზე მეტ საერთაშორისო და შიდა ფრენას ასრულებს. ეს უთანაბრობა უფრო თვალსაჩინოა ტვირთბრუნვის შემთხვევაში, კერძოდ, სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2012 წლის მონაცემების თანახმად, საჰაერო ტვირთების (წონით) 86%-ზე მეტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ამ ზომის ქვეყნების უმეტესობას, მხოლოდ, ერთი ძირითადი საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება.

წყალმომარაგება

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, საბოლოო მომხმარებელთათვის უწყვეტი წყალმომარაგება სერიოზულ პრობლემად რჩება. 2000 წელს, წყლის მილების დაახლოებით 60%-ის გაუმართაობა ავარიებს და სასმელი წყლის სანიტარულ ნორმებთან შეუსაბამობას, ანუ დაბინძურებას იწვევდა. ტექნიკური დანაკარგების ოდენობა 40%-ს აღწევდა[3]. ბოლო პერიოდში, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტების წყალობით, სიტუაცია ამ მიმართულებით არსებითად გაუმჯობესდა, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე. მიუხედავად ამისა, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემა მაინც საჭიროებს განვითარებას. 2014 წლის მონაცემებით, თბილისის ოჯახების 97%-ზე მეტია წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფილი, თუმცა ქვეყნის მასშტაბით პროპორცია მხოლოდ 52.8%-ს აღწევს, ზოგიერთ რეგიონებში (მაგ.: კახეთი და სამეგრელო) აღნიშნული მონაცემი მესამედზე ნაკლებია.

სასმელი წყალი საქართველოში, ძირითადად, გრუნტის წყლის დებეტებიდან მოიპოვება. ქართული დასახლებების უმრავლესობას წყალი წყვეტილად მიეწოდება და წყლის ავზების უმეტესობა დაუცველია. შესაბამისად, წყალი ხშირად ვერ აკმაყოფილებს სანიტარულ ნორმებს. 2000-იანი წლების შუა პერიოდამდე 24 საათიანი წყალმომარაგება მხოლოდ ბათუმის ნაწილის, გორის, სამტრედიის და თბილისის მოსახლეობისთვის იყო უზრუნველყოფილი. რუსთავსა და ქუთაისშიც კი წყალმომარაგებას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. მას შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ურბანული ტერიტორიების უმეტესობისთვის, მათ შორის დიდი ქალაქებისთვის, თბილისის გარდა, წყალმომარაგება ახლაც არარეგულარულია.

[2] (ISET), 2013 წლის კვლევა.

[3] UNECE: საბინაო მოხსენება / კვლევა; საქართველო2006

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. საქსტატის 2012 წლის მონაცემებით, საცხოვრებელი სახლების სრული წყალმომარაგება (რეალურად 97.5%) მხოლოდ დედაქალაქშია უზრუნველყოფილი. აღნიშნული მაჩვენებელი ქვემო ქართლში 45.4%-ს შეადგენს. შიდა ქართლის, სამცხე ჯავახეთის, აჭარის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მონაცემები გაერთიანებულია და მათი წილი 42.8%-ია. რეგიონებში ეს მონაცემი კიდევ უფრო ნაკლებია. ზოგადად, ურბანული რეგიონებისთვის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. გამონაკლისია სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც ოჯახების უმეტესობა, რეგიონის შედარებითი ურბანიზებულობის მიუხედავად, სასმელ წყალს ჭიდან და არა სახლის შიგნით, თუ გარეთ არსებული ონკანებიდან იღებს.

ბუნებრივი აირი/გათბობა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მანამდე ფართოდ გამოყენებადი რაიონული გათბობის სისტემა მთლიანად მოიშალა და ბუნებრივი აირი იქცა გათბობის ძირითად საშუალებად. თბილისი ერთადერთი რეგიონია, სადაც ბუნებრივი აირის ცენტრალური სისტემა უზრუნველყოფილია თითქმის ყველგან. დანარჩენ რეგიონებში გაზიფიცირების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ან ახლა იწყება. დღესდღეობით, საქართველოში შინამეურნეობების 25%-ზე ნაკლებს აქვს სახლში ცხელი წყლისა და გათბობის სისტემა, ეს 25 პროცენტიც, ძირითადად, აჭარასა და ქალაქ თბილისშია განაწილებული.

ელექტროენერგია

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველომ, ენერგორესურსებით მომარაგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ჰიდროელექტროენერგიის განვითარებისა და კორუფციასთან ბრძოლის საჯარო პოლიტიკის შედეგად, საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და 2012 წლამდე ენერგიის ექსპორტსაც ახორციელებდა.

დღეს, საქართველოში ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულია მომხმარებელთა 92%-ზე მეტი. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო მიმდინარე წელს გეგმავდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროგრამის დასრულებას, თუმცა, აღნიშნული, რიგ მიზეზთა გამო, 2016 წლამდე გადავადდა.

დღესდღეობით, საქართველოში მოხმარებადი ენერგია, პრაქტიკულად მთლიანად, ადგილობრივი ჰიდროელეტროწყაროებიდან მიიღება. თუმცა, ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოხმარების რეჟიმი სეზონურად განსხვავებულია. ზაფხულის განმავლობაში ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საქართველოში არსებულ მოთხოვნას მნიშვნელოვნად აღემატება, მაშინ, როდესაც

ზამთრის პერიოდში, ენერგიის გარკვეული ოდენობის იმპორტი ხდება საჭირო.

ნავთობისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება

ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის (BTC) მილსადენმა, რომელიც კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია, ფუნქციონირება 2006 წლის ივნისში დაიწყო. სრული დატვირთვის პირობებში მას 1.2 მილიონი ბარელი ნავთობით უზრუნველყოფა შეუძლია. სამხრეთ კავკასიური გაზსადენით კი (SCP), რომელიც ბუნებრივ აირს შაჰ-დენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოიპოვებს და მსხვილი რეგიონებისთვის გაზის მიწოდების ახალი და მნიშვნელოვანი წყაროა, აზერბაიჯანი და საქართველო 2006 წლის დეკემბერიდან ხოლო თურქეთის ბაზარი 2007 წლის ივლისიდან სარგებლობს. ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით ცნობილი დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის საშუალებით (WREP) აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან მოპოვებულ ნავთობი, სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის. ბაქო-სუფსის ნავთობსადენს, რომელიც სრულად 1999 წლიდან ფუნქციონირებს, დღეში 100 000 ბარელი ნავთობის გატარება შეუძლია.

ტელეკომუნიკაცია

საქართველოში ფიჭური ტელეკომუნიკაციები მოიცავს G GSM 900 და 1800 სტანდარტების სამ ფიჭურ სატელეფონო ქსელს და UM UMTS 2100 სტანდარტის ორ ქსელს. ფიჭური ქსელის ბაზარი 2013 წელს 4 999 000 რეგისტრირებულ აბონენტს ითვლიდა. 2013 წლის მდგომარეობით, ფიჭური სატელეფონო ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიის 99%, ხოლო ყოველ 100 სულ მოსახლეზე აბონენტების სიმკვრივის მაჩვენებელმა 111.4% მიაღწია.

საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების რაოდენობამ 2013 წელს 1.20 მლნ აბონენტი, ხოლო სიმკვრივემ 94.1% შეადგინა. ამასთან, სატელეფონო სიმკვრივე ქალაქ თბილისში 108.5%-ს შეადგენს, ქალაქ ქუთაისში - 102.0%-ს, ქალაქ ბათუმში - 93.6%-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდის გამოკლებით) - 2.1%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში კი -2.9%-ს. მთლიანად, საქართველოში კომუტირებადი სადენიანი ტელეფონიის სიმკვრივე 45.0%-ია.

2013 წელს ქვეყანაში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ 2 169 129 შეადგინა. ფიქსირებული კავშირის ინტერნეტი, მხოლოდ, ურბანულ დასახლებებშია ხელმისაწვდომი, ხოლო მაღალი სიჩქარის ფიჭური ტელეფონის ინტერნეტი (HSPA+/3.5G) სასოფლო ტერიტორიების, მხოლოდ, 50%-ს ფარავს. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზებით ამ ეტაპზე დაფარულია ძირითადი ქალაქები.

2014 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ საინფორმაციო

ტექნოლოგიების გლობალურ ანგარიშში მოყვანილი ქსელური მზადყოფნის ინდექსში (NRI) 148 ქვეყნიდან საქართველომ რეიტინგულ ცხრილში მე-60 ადგილი დაიკავა.

4. ფიზიკური გარემო

ჰაერის ხარისხი

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ბევრი მსხვილი საწარმოს დახურვის შედეგად საქართველოში, ჰაერის დაბინძურების ხარისხი მკვეთრად შემცირდა. უფრო მეტიც, ბოლო ათწლეულში ეკონომიკური აქტივობის ზრდის მიუხედავად, ინდუსტრიული გამონაბოლქვი კვლავ განაგრძობდა კლებას. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ზუსტი მონაცემი ჰაერის დაბინძურების შესახებ სამშენებლო სექტორიდან, ზოგადი შეფასებით, დაბინძურების მაჩვენებელი აღნიშნული წყაროდან მატულობს.

ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც წესი, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარ წყაროდ მძიმე მრეწველობა, ტრანსპორტი და ენერგეტიკა სახელდება. ყველა ეს საქმიანობა, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობა გეოგრაფიულად კონცენტრირებულია, რაც რეგიონული უთანაბრობების მიზეზი ხდება. საქართველოშიც, შესაბამისად, დაბინძურების სტაციონარული წყაროების არსებობის გამო, ჰაერის ხარისხი რეგიონების მიხედვით, განსხვავებულია.

სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წილი საქართველოში იმერეთსა და ქვემო ქართლზე მოდის, მაშინ, როდესაც შიდა ქართლსა და აჭარას ნაკლებმნიშვნელოვანი როლი ენიჭება. დაბინძურება ძირითადად გამოწვეულია კონქრეტულ ქალაქებში სპეციფიკური ფაქტორების შედეგად. დაბინძურებას, უმეტესად, კონკრეტულ ქალაქში არსებული ერთი, კონკრეტული საწარმო იწვევს. სტაციონარული რესურსებიდან გამოყოფილი ჯამური დაბინძურებული ნაკადის ნახევარი, სულ რაღაც, სამ ქალაქში გამომუშავდება: ზესტაფონში, რუსთავსა და კასპში. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2010 წლის მონაცემების მიხედვით , ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის მთავარი წყაროებია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის სასუქის საწარმო, ბათუმის ნავთობტერმინალი, გარდაბნის ელექტროსადგური და კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნები.

სხვა ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, საქართველოშიც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მთავარი მობილური წყარო საგზაო ტრანსპორტია და დაბინძურების ხარისხი დამოკიდებულია ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაზე, მათ ტიპსა და მდგომარეობაზე, საწვავის სახეობასა და ხარისხზე, სატრანსპორტო ნაკადის მართვასა და ბუნებრივი ვენტილაციის პირობებზე. 2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოქმედი სატრანსპორტო საშუალებების ერთიანი ოდენობის, ანუ, დაახლოებით, 800 000-ის (რომელთაგან 41% თბილისშია თავმოყრილი) 82%, 10 წელზე მეტისაა, არასახარბიელო მდგომარეობაშია და იწვევს ჰაერში ტოქსიკური

ნივთიერებების ემისიის ზრდას.

სანიტარია და წყალარინების სისტემა

2000 წლამდე საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი უზრუნველყოფილი იყო წყალარინების სისტემებითა და წყლის გამწმენდი ნაგებობებით 45 ქალაქში. გადმოცემული ინფორმაციის თანახმად, წყალარინების სისტემების უმეტესი ნაწილის სავალალო მდგომარეობა მიწისქვეშა წყლების რესურსების მნიშვნელოვან დაბინძურებას იწვევდა [4] . ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2004 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, წყლის გამწმენდი ნაგებობები ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ თბილისსა და ხაშურში, ბათუმსა და საჩხერეში ბიოლოგიური წმენდის საშუალებები 2014 წელს ამოქმედდა. დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ სიტუაცია კიდევ უფრო მძიმეა. წყალარინების სისტემები სოფლად უბრალოდ არ არსებობს.

მყარი ნარჩენები

საქართველოში მყარი ნარჩენების ფორმირების შესახებ ზუსტი რაოდენობრივი მონაცემები არ არსებობს. დღეისათვის მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ვერ უზრუნველყოფს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და გამოტანას სოფლებიდან. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მყარი ნარჩენების რეალური ოდენობის ციფრებში გამოსახვა შეუძლებელია. არაფერია ცნობილი აგრეთვე ნარჩენების შეგროვებასა და ხელახალ დამუშავებაზე. ერთ-ერთი კვლევის თანახმად[5] მყარი ნარჩენების მხოლოდ 1/3 გროვდება და თავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე - დანარჩენი უმართავ, სპონტანურად შექმნილ ნაგავსაყრელებზე ხვდება. ამასთან, მწირია ხელმეორედ გადამუშავებისთვის ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების შესაძლებლობა. მხოლოდ რამდენიმე მცირე საწარმოა ქვეყანაში (კომპოსტირების, პლასტმასის, მინის, ქაღალდის და სხვა გადამამუშავებლები) რომელთა სპეციალიზაცია ნარჩენების გადამუშავებაა.

რაც შეეხება დედაქალაქს, აქ წლიურად წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში გენერირებული ნარჩენების ოდენობას თითქმის უტოლდება. თბილისი შედარებით უკეთაა აღჭურვილი შესაბამისი ტექნიკური და ადამიანური რესურსით ნარჩენების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ნარჩენების სეპარაცია თბილისშიც კი არ ხორციელდება. ქვეყანაში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე მუნიციპალური ნაგავსაყრელიდან, მხოლოდ, თბილისის, რუსთავ-გარდაბნისა და ბორჯომის ნაგავსაყრელები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. 2014-2017 წლებში იმერეთსა და ქვემო ქართლში რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა შეთანხმებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. ქუთაისის,

[4] გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია 2004

[5] დავასუფთაოთ საქართველო, 2012

თელავის, მცხეთის, ახალციხის, ოზურგეთის, ზუგდიდის, ამბროლაურის ნაგავსაყრელების კეთილმოწყობის პროექტები უკვე დანერგილია. იგეგმება დამატებითი 11 ნაგავსაყრელის მშენებლობაც.

მყარი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების მართვა საქართველოში რეგულირდება სხვადასხვა კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში განაწილებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ნარჩენების მართვის ჩარჩო კანონი 2015 წლის იანვარში მიიღეს. სამრეწველო ნარჩენების შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა და ნარჩენების მართვის მეთოდოლოგიის არარსებობა კვლავაც პრობლემად რჩება. გარდა ამისა, ზუსტი მონაცემები 1970-80-იან წლებში აქტიური ინდუსტრიული საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სამრეწველო ნარჩენების ოდენობისა და შემადგენლობის შესახებ, ფაქტობრივად არ მოიპოვება.

ბუნებრივი კატასტროფები

რთული ტოპოგრაფიის, მთიანი რელიეფის, სპეციფიკური ატმოსფერული პირობებისა და ადამიანის საქმიანობის გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენის გამო, ბუნებრივი კატასტროფები საქართველოში საკმაოდ ხშირი და მასშტაბური მოვლენაა. ბუნებრივი კატასტროფები, როგორიცაა წყალდიდობა, მეწყერი, მიწისძვრა, ქარიშხალი და სხვ. ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, აზიანებს ინფრასტრუქტურას და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

გასული წლის განმავლობაში ორი მეწყერი ჩამოწვა დარიალის ხეობაში, რასაც მოჰყვა წყალდიდობა და მსხვერპლი (მაისში და აგვისტოში), ხოლო გასული წლის ივლისში გაირღვა კაშხალი მდინარე ვერეს ხეობაში, თბილისში, რასაც უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით, ბუნებრივ კატასტროფებზე ასევე გავლენას ახდენს ადგილმდებარეობა, მაგლითისთვის:

- გვალვა შესაძლებელია მოსალოდნელი იყოს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მაგრამ ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონები ამ კუთხით ყველაზე მეტად მოწყვლადია. ბოლო წლების მანძილზე გვალვიანობა გაიზარდა სამჯერ, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.
- საქართველოს ტერიტორიის 50% ზვავსაშიშროების კუთხით მიეკუთვლება მაღალი რისკის კატეგორიას. სამეგრელო-ზემო სვანეთის მაღალმთიანი ზენები (სვანეთი), რაჭა- ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის და მცხეთა -მთიანეთის (ყაზბეგი) რეგიონები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განსაკუთრებით მოწყვლადია.
- სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო-სვანეთის, იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, თბილისის რეგიონები ზარალდება წყალდიდობის შედეგად, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორებით.

- ღვარცოფები გავრცელებულია კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის (მესტია) რეგიონებში.

გარემოს ეროვნული სააგენტო ეროვნულ დონეზე ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოლოგიური და გარემო პირობების მონიტორინგს და პროგნოზირებას. მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო ანალიზის/მონიტორინგისა და დამცავი ინფრასტრუქტურა გაუმჯობესების მიზნით. (ამ უკანსკნელზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

5. ეკონომიკური აქტივობა და ადგილმდებარეობა

მიმოხილვა

საქართველოს რეგიონები განსხვავდება ერთმანეთისაგან ძირითადი ეკონომიკური სტრუქტურის მიხედვით. გამოყოფენ 3 ძირითად ეკონომიკურ სექტორს: პირველადი სექტორი - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და მეთევზეობა; მეორეული სექტორი - მრეწველობა, საყოფაცხოვრებო პროდუქციის წარმოება, გადამუშავება და მშენებლობა; მესამეული სექტორი - ვაჭრობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საჯარო მმართველობა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური უსაფრთხოება და ა. შ. (იხ. სურ. 2). მაშინ, როდესაც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აგროვებს მონაცემებს მთლიანი დამატებული ღირებულების შესახებ სექტორების და უფრო დეტალური აქტივობების მიხედვით, ადმინისტრაციულ რეგიონულ დონეზე, ასეთი მონაცემები მოითხოვს სიფრთხილით განხილვას, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობის ზუსტი მდებარეობა ხშირად გაურკვეველია, განსაკუთრებით იქ, სადაც რეგიონები შედარებით პატარა და ეკონომიკური თვალსაზრისით კარგად ინტეგრირებულია.

ქვეყნის ყველაზე ურბანიზებულ ადმინისტრაციულ ერთეულს - თბილისს გამორჩეული პირველადი სექტორი არ გააჩნია. მასზე მხოლოდ მეორეული სექტორის აქტივობების მცირედი და მესამეული სექტორის ყველაზე დიდი წილი მოდის. ქვემო ქართლი და შიდა ქართლი მეორეული სექტორის უმსხვილეს წილს მოიცავს, რაც მიუთითებს, რომ თბილისში სამრეწველო აქტივობის სიმწირე კომპენსირებულია მიმდებარე რეგიონების აქტივობით. მეორეული სექტორის შედარებით დიდი წილის მქონე რეგიონებიდან აღსანიშნავია იმერეთი/რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო ქართლი, აჭარა, სამეგრელო და ზემო სვანეთი.



წყარო: საქსტატი (უახლესი მონაცემები მოთხოვნილია)

ცხრილი 3: მდღ-ს განაწილება რეგიონების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)								
	2007	**2008**	**2009**	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**
კახეთი	789.6	981.8	833.8	973.3	1,149.7	1,161.3	1,331.5	1,459.1
თბილისი	7,009.5	7,913.6	7,274.3	8,472.6	9,914.3	11,194.2	11,300.9	12,147.1
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	917.1	981.3	906.8	1,124.9	1,334.6	1,337.1	1,426.4	1,485.2
ქვემო ქართლი	1,400.5	1,347.7	1,325.3	1,537.6	1,790.6	1,917.5	2,063.1	2,162.9
სამცხე-ჯავახეთი	454.8	526.7	477.4	562.6	665.0	646.2	693.8	724.6
აჭარა	966.9	1,224.3	1,185.3	1,378.9	1,621.9	1,675.4	1,798.1	2,039.7
გურია	354.1	326.1	308.6	380.4	437.6	434.4	476.9	584.4
სამეგრელო ზემო სვანეთი	1,047.7	1,185.8	1,216.3	1,359.0	1,509.6	1,478.7	1,574.0	1,807.4
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო ქართლი	1,670.8	2,034.6	2,018.5	2,225.2	2,551.9	2,660.4	2,670.4	2,685.2
სულ	**14,611.1**	**16,521.8**	**15,546.3**	**18,014.4**	**20,975.4**	**22,505.3**	**23,335.0**	**25,095.7**

წყარო: საქსტატი

სამშენებლო სექტორი აჭარაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაშინ, როდესაც ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და საჯარო მმართველობა ნაკლებმნიშვნელოვანია. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონში საკმაოდ განვითარებულია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სექტორი, რაც მნიშვნელოვანწილად ფოთის პორტს უკავშირდება. საჯარო მმართველობის, განათლებისა და ჯანდაცვის სერვისები გამოკვეთილად

წარმოდგენილია იმერეთში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა შემცირდა. თუმცა, ეს შემცირება მრეწველობის მაჩვენებლებთან შედარებით ნაკლები იყო, შესაბამისად, მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილის ზრდა დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობაში წარმოების მასშტაბების შემცირება, საბოლოო ჯამში, სასოფლო-სამეურნეო მიწების მასობრივმა პრივატიზაციამ, ინვესტირების დაბალმა დონემ და რუსეთის ბაზრის ჩაკეტვამ განაპირობა. ამ პერიოდში ზრდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დარგების (საბანკო სექტორი, ტელეკომუნიკაცია, ენერგეტიკა, ტურიზმი, მშენებლობა და საჯარო სამსახური) მიმართულებით გამოიკვეთა.

თბილისი, უდავოდ, ქვეყნის ეკონომიკური ცენტრია. ეკონომიკური აქტივობის არაპროპორციულად დიდი წილი დედაქალაქშია კონცენტრირებული (აღნიშნული წილის შესახებ სტატისტიკური მონაცემები შესაძლოა გადაჭარბებულია, ვინაიდან რეალურად რეგიონებში მიმდინარე ბიზნეს საქმიანობებიც, ხშირად, თბილისში რეგისტრირდება). ფაქტობრივი მონაცემებით, 2006 წელთან შედარებით 2013 წელს რეგიონული წილი მშპ-ში ოდნავ შემცირდა. გამონაკლისს თბილისი, აჭარა და იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი წარმოადგენდა. აჭარის შედარებითი სიძლიერე ნაწილობრივ მაინც აიხსნა იმ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციებით, რომელიც გამოიყო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ბათუმის რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად.

5.1 ურბანული ცენტრები და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობები

ურბანიზაციას, მშპ-ში წილსა და რეგიონული წარმოების ტიპს შორის მკაფიო კორელაცია არსებობს. დედაქალაქი თბილისი, ყველაზე მეტად ურბანიზებული ადგილია საქართველოში, სადაც სახელმწიფოს მთლიანი დამატებული ღირებულების თითქმის ნახევარი იქმნება და მთლიანად მესამეული/მეოთხეული (78%) და სამრეწველო სექტორის (22%) მიერ იწარმოება. იმერეთის, აჭარის და შიდა ქართლის რეგიონების, შესაბამისად მათი სამი დიდი ქალაქის - ქუთაისი, რუსთავი და ბათუმის წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში 8-11%-ია, განვითარებულია მომსახურების (აჭარა რეგიონული მთლიანი დამატებული ღირებულების 70% და იმერეთი 65%-ზე მეტს ქმნის) ან სამრეწველო (სულ მცირე 20%-დან 40%-მდე ქვემო ქართლში) სექტორები და ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი სურათია, ვიდრე სასოფლო ტიპის რეგიონებში.

მსოფლიო ბანკის კვლევა „ქალაქების ეკონომიკური როლი“ (2015) წარმოდგენილია საქართველოს ქალაქების პოტენციურად სასარგებლო კლასიფიკაცია. მასში მოცემულია სხვადასხვა სიდიდის ქალაქების განსხვავებული ფუნქციები საქართველოს ეკონომიკაში. გამოირჩევა სამი ტიპის ქალაქი:

გამოსახულება 5. მთლიანი დამატებული ღირებულების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით (სახელმწიფოს მთლიანი დამატებული ღირებულების % წილი , 2014)



)

წყარო: საქსტატი 2015

- „დიდი 4“-ის ურბანული ცენტრები - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი;
- რეგიონული ცენტრები უფრო მეტად ლოკალიზებული ეკონომიკური მიზიდულობის ძალით; და
- მეორეული ურბანული ეკონომიკები, რომელთაც ბაზარზე წვდომისა და „დიდი 4-ის ზრდის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობები გააჩნიათ.

ქალაქის თითოეულ ტიპს განსხვავებული როლი გააჩნია და სხვადასხვაგვარად შეაქვს წვლილი წარმოებასა და ეკონომიკურ ზრდაში.

„დიდი 4“ განიხილება საქართველოს ძირითად ზრდის ცენტრებად. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი უდაოდ დომინანტია მოსახლეობის რაოდენობის, ეკონომიკური პოტენციალის, მშპ-სა და მთლიან დამატებულ ღირებულებაში წილის და ა.შ მხრივ, ყველა დიდი ქალაქის აგრეგირებული ძალა უფრო მეტად შთამბეჭდავია. ისინი დომინანტები არიან ვაჭრობასა და ბიზნესში და ინვესტიციების კუთხით ქვეყნის მასშტაბით; ასევე მთავარ როლს თამშობენ ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარების უზრუნველსაყოფად.

გარდა თბილისისა, ყველა დიდი ქალაქი „ სარგებლობს თავიანთი ადგილმდებარეობით სავაჭრო კორიდორთან, თუმცა თითოეულს ოდნავ განსხვავებული სამრეწველო ბაზა და

შედარებითი უპირატესობა გააჩნია - ბათუმის უპირატესობა მისი სტრატეგიული ადგილმდებარეობაა, როგორც ტურისტული ცენტრის და საქართველოს მეორადი პორტის. ქუთაისი, როგორც ადმინისტრაციული ცენტრი, არამდგრადი სამრეწველო ბაზით აღდგენას საჭიროებს, ხოლო რუსთავს, როგორც სამრეწველო ცენტრს, თბილისთან სიახლოვის უპირატესობა გააჩნია (მსოფლიო ბანკი, 2015:10).

ამასთანავე, „დიდი 4"-ის ყველა ქალაქი ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს; თუმცა, საქართველოში რამდენიმე სხვა **რეგიონული ცენტრია,** რომელბიც მაგისტრალის კორიდორისგან მოშორებით მდებარეობენ და ნაკლებად დაკავშირებულნი არიან ეკონომიკური ზრდის ცენტრებთან. მიუხედავად ამისა, ეს რეგიონული ცენტრები მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, როგორც ადმინისტრაციული ცენტრები და ემსახურებიან უფრო პატარა ქალაქებისა და მათ ირგვლივ სოფლის ტიპის დასახლებების ადგილობრივ ბაზრებს. ისინი უმეტესწილად სოფლის/სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში მდებარეობენ და როგორც წესი ცდილობენ განავითარონ კავშირები სასოფლო-სამეურნეო და აგრო-გადამამუშავებელ საწარმოებს შორის, ძირითადად მცირე და საშუალო მეწარმეებთან. მათ ასევე შეუძლიათ სოფლის მეურნეობა დაუკავშირონ ტურიზმს, ორი მზარდი სექტორის დასაკავშირებლად. (მსოფლიო ბანკი 2015). ასეთი ქალაქების კარგი მაგლითებია თელავი კახეთში, გორი შიდა ქართლში და ახალციხე სამცხე ჯავახეთში.

მეორად ურბანულ ეკონომიკას განეკუთვნებიან შედარებით პატარა ქალაქები, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე მუშაობენ, როგორიცაა ადეკვატური ფინანსური რესურსები, ძირითადი სერვისები და ინფრასტრუქტურა. სისტემატიური გარე მიგრაციის გამო ადამიანური რესურსების ნაკლებობა ასევე პრობლემას წარმოადგენს. ძველ მემკვიდრეობით სექტორებზე დაყრდნობა არასაკმარისია მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ყველაზე ძლიერი ქალაქები (როგორიცაა ფოთის პორტი, სამრეწველო ქალაქი -ზესტაფონი ან მინერალური წყლებით მდიდარი ბორჯომი) საჭიროებენ ახალი, უფრო ეფექტიანი მიდგომების მოძიებას მდგრადობის შენარჩუნებისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით.

ეკონომიკური განვითარება უნდა იქნეს დანახული, როგორც ურთიერთობა კონკრეტულ აქტივობებსა და ზოგადად სოფელსა და ქალაქს შორის. ეს არ არის თამაში ნულოვანი შედეგით კონკურენტულ სექტორებსა და ადგილებს შორის. თუმცა, საქართველოში მხოლოდ იმ ქალაქებს, სადაც მოსახლეობა 100 000 მეტია, მკაფიო ზოგადი პოტენციალი გააჩნიათ (ადამიანური რესურსების კუთხით, ინსტიტუციონალური შესაძლებლობები და ეკონომიკური საქმიანობა) და შეუძლიათ სწრაფი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ, ზრდის მიმართულებით მათ შესაბამის საზღვრებში და ქვეყნის მასშტაბითაც. ამიტომ ქვემოთ უფრო დეტალურადაა თითოეული „დიდი 4"-ის შესახებ ინფორმაცია.

თბილისი და მისი აგლომერაცია

თბილისის მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონ ას ოცო ათას ადამიანს შეადგენს და მისი ადმინისტრაციული საზღვრები 504 კმ2 მოიცავს. თბილისის ხელსაყრელი ადგილმდებარეობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეხმარება მას შენარჩუნოს კონკურენტული პოზიცია უფრო ფართოდ და ასევე იყოს დომინანტური საქართველოს ფარგლებში.

საქართველოს ეკონომიკაში თბილისის როლი განსაკუთრებულია: გარდა იმისა, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარს აწარმოებს, სახელმწიფო გადასახადების შემოსავლების ნახევარზე მეტი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში და მთლიანი ბიზნესის ბრუნვის 70% მასზე მოდის. (ქვეყნაში არსებული ბიზნესის 45% რეგისტრირებულია თბილისში). გარდა ამისა, ბოლო წლებში თბილისის მთლიანი დამატებული ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნულ ეკონომიკასთან შედარებით. (მსოფლიო ბანკი 2015: 56-58, საქსტატზე დაყრდნობით).

თბილისი, როგორც მრავლფუნქციური ქალაქი და რეგიონული ცენტრი, იზრდება ფართო საერთაშორისო კონტექსტშიც. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ქალაქი სატრანსპორტო კორიდორის - ევროპა-კავკასია-აზიის (TRACECA) აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო და ენერგო გადამტანი მარშრუტების (ნავთობისა და გაზის მილსადენები, მაგ: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) აუცილებელი საკვანძო წერტილი გახდა; ეს ხელს უწყობს მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას (მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 74% საქართველოში 2014 წელს), რაც ბევრად უფრო მაღალი მაჩვენებელია, საქართველოს ნებისმიერ სხვა ქალაქსა და რეგიონთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის დროს სამრეწველო სექტორი მნიშვნელოვნად გაუარესდა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში, თბილისის ეკონომიკამ კონკრეტული სტრუქტურა მიიღო: მასში ასახულია მესამეული და მეოთხეული სექტორის მაღალი წილი, (როგორიცაა მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და კომუნიკაცია) ასევე ყველა სახის საჯარო და საბაზრო მომსახურებები, სამრეწველო აქტივობებს კი ძალზედ ზომიერი წილი გააჩნიათ (10%). ვაჭრობა და სარემონტო სამუშაოები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები და საჯარო ადმინისტრირება სამი უმნიშვნელოვანესი სექტორია, ხოლო მრეწველობას და მშენებლობას დედაქალაქის წარმოების სისტემაში თანბარი წილი 10% აქვთ. (აზიის განვითარების ბანკი 2015).

უდიდესი დამსაქმებლებს წარმოადგნენ სატრანსპორტო და კომუნიკაციების კომპანიები, მრეწველობა და საცალო ვაჭრობა. სამანქანე მრეწველობის ფილიალები, როგორიცაა მცირე ზომის თვითმფრინავების წარმოება, კვლავ თანაარსებობს სურსათის გადამამუშავებელ და მსუბუქ მრეწველობასთან ერთად; თუმცა მათი მხოლოდ მცირე ნაწილი აწარმოებს თავიანთი პროდუქციის ექსპორტს წარმატებით.

თბილისის ეკონომიკის მთავარი ხარვეზებისა და პრობლემების ანალიზის დროს,

(მსოფლიო ბანკის კვლევა (მსოფლიო ბანკი 2015)) შემდეგი ასპექტები გამოიკვეთა: უმუშევრობის მაღალი დონე; დიდ ფირმებზე დაყრდნობა (დასაქმების 63% და ბრუნვის 85%); მცირე და საშუალო მეწარმეების დაბალი განვითარების დონე; შეღვათიანი ინვესტიციების შემოდინება და არასავჭრო სექტორების ზრდა, როგორიცაა ფინანსური სერვისები, მშენებლობა და ტურიზმი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ თბილისს მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია დანარჩენ საქართველოსთან შედარებით, მას ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო გადატვირთულობის ხარჯები გააჩნია, როგორიცაა ჰაერის დაბინძურება.

უფრო მეტიც, თუ თბილისს აღმოსავლეთ ევროპის შერჩეულ ქალაქს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი ცდილობს დაეწიოს სტანდარტებს, ის კვლავ ჩამორჩება კონკურენტუნარიანობის ძირითად ინდიკატორებს, მათ შორის ერთ სულ მოსახლეზე მშპ და შრომის ნაყოფიერება (მსოფლიო ბანკი, 2015: 58).

თბილისი უდიდესი (სავარაუდოდ ერთადერთი) ურბანული აგლომერაციის ცენტრია საქართველოში, თუმცა მას რაიმე იურიდიული სტატუსი არ გააჩნია. გეოგრაფიული არეალი, რომელიც ამჟამად ეკონომიკური, შრომის ბაზრის და სოციალურ-კულტურული აგლომერაციის სივრცეს წარმოადგენს, ძირითადად მოიცავს თბილისის, რუსთავის, მცხეთისა და გარდაბნის ურბანულ ტერიტორიებს სოფლის ტიპის ტერიტორიებთან ერთად ურბანულ ადგილებს და სატრანსპორტო მარშრუტებს შორის, რომელბიც ქმნიან „ურბანულ კორიდორებს“. მცხეთა არის ქვეყნის ადმინისტრაციული, კულტურული/რელიგიური და ტურისტული ცენტრი, ხოლო გარდაბანი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრია, რომელსაც გათბობა/თერმული ენერგიის გეგმა გააჩნია და აგლომერაციის დასახლებებს ელექტროენერგიით უზრუნველყოფს.

თბილისის აგლომერაციაში მოსახლეობა დაახლოებით 1.5 მილიონია და გააჩნია ხელსაყრელი ცენტრალური ადგილმდებარეობა რეგიონული (სამხრეთ კავკასიის) აქტივობებისთვის (მაგ: ლოგისტიკა/სატვირთო გადაზიდვები და მგზავრთა დისტრიბუცია, გამოფენები, სავაჭრო ბაზრობები, ევროპისა და აზიის ღონისძიებები, პოლიტიკური შეკრები და ა.შ.). მას აქვს გეოგრაფიულად სტრატეგიული მდებარეობა ტრანსპორტის კუთხით და აკავშირებს ევროპის, აზიის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების.

თუმცა, მისი პოტენციალის მისაღწევად, აგლომერაციას ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ინვესტიცია სჭირდება (განსაკუთრებით ტრანსპორტსა და კომუნიციებში) და უფრო ეფექტური სამთავრობო სისტემის განვითარება. აგლომერაციის კავშირების ასეთი გაძლიერებით თბილისის შეზღუდული შიდა განვითარებიდან საგარეო ზრდის შესაძლებლობა იქმნება (მომავლის ქალაქი, 2015).

რუსთავი

რუსთავი, რომლის მოსახლეობა 125,000 ადამიანს შეადგენს, მეოთხე უდიდესი ქალაქია

საქართველოში, ამ ეტაპზე მისი აქ განხილვა, განპირობებულია მისი სიახლოვით თბილისთან. ქალაქი რუსთავი 1944 წელს დაარსდა, როგორც საბჭოთა ინდუსტრიული ცენტრი. ფაქტიურად მეტალურგიული ქარხანა ამიერკავკასიაში ქალაქის მთავარ აქტივს წარმოადგენდა. რუსთავი დიდი ქალაქი-მუნიციპალიტეტი და ქვემო ქართლის რეგიონის ცენტრია. ქალაქი 27 კმ-ში თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და თბილისის აგლომერაციის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია და გააჩნია ფუნქციური კავშირები მობილურობის გზით, ეკონომიკური კავშირები, კულტურული გაცვლა და მოსახლეობის გადაადგილება მუშაობის, სწავლისა და მომსახურების მისაღებად. უფრო მეტიც, როგორც სასაზღვრო ქალაქი მეზობელ ქვეყნებთან-აზერბაიჯანსა და სომხეთთან, ქალაქის იდეალური ადგილმეზარეობა კარგი საშუალებაა ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის და თანამშრომლობისთვის. უდავოა, რომ ბაზარზე წვდომა რუსთავის ერთ-ერთი უძლიერესი მხარეა, რომელის საშუალებით დამატებითი ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია.

რუსთავი დაარსდა, როგორც უდიდესი სამრეწველო ცენტრი და წარმოადგენდა მნიშვნელოვანი შავი მეტალურგიის, ქიმიისა და სამშენებლო სამუშაოების ადგილს. თუმცა, მიმდინარე სამრეწველო სტაგნაციის შედეგად, ქალაქი ამჟამად დიდწილად დამოკიდებულია ვაჭრობასა და კომერციაზე.

რუსთავში წარმოება შეიძლება დაიყოს ძველ მრეწველობად (საბჭოთა კავშირის პერიოდით დათარიღებული) და ახალი მრეწველობის ობიექტებად. ძველი მრეწველობა რუსთავში მოიცავს მეტალურგიას, სამშენებლო მასალებს და ქიმიურ წარმოებას. დღეს ისინი წარმოადგენენ წარმოების ინდუსტრიის უდიდეს ნაწილს, მაგრამ მათი ზრდის პოტენციალი შეზღუდულია. მსოფლიო ბანკის კვლევამ აჩვენა, რომ რუსთავში არსებული ეს მრეწველობა არ არის ადგილობრივი დაფინანსების გამოყენების შედეგი, არამედ წარმოადგენს საბჭოთა დაგეგმვის შედეგს. ეს ზღუდავს ამ ფირმების კონკურენტულ პოტენციალს ღია გლობალურ ბაზარზე და ქალაქის კონტროლს ცდება, თუმცა ისინი, სავარაუდოდ, ქალაქის მოსახლეობის მსხვილ დამსაქმებლებს წარმოადგენენ. (მსოფლიო ბანკი, 2015: 74). ეკონომიკური საქმიანობის ახალი ტიპები რუსთავში უკეთ ასახავენ ქალაქის მახასიათებლებს, და, შესაბამისად, ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნიათ. მათ შორისაა აგრო-გადამუშავება, ლოგისტიკა და ვაჭრობა.

მიუხედავად საბჭოთა დროის სამრეწველო სიძლიერის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა, რუსთავი მაინც გადამწყვეტ როლს თამაშობს, როგორც ეკონომიკური ცენტრი და აქვს პოტენციალი გახდეს მთავარი ლოგისტიკური ცენტრი. მისი მდებარეობა თბილისის სიახლოვეს, რუსთავს საშუალებას აძლევს ისარგებლოს თბილისთან სიახლოვის შედარებითი უპირატესობით.

ბათუმი

ბათუმი არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი და ასევე

საქართველოს ორი ძირითადი შავი ზღვის პორტიდან ერთ-ერთი. ბათუმი 20 კილომეტრითაა დაშორებული თურქეთის სახელმწიფო საზღვრთან (დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პარტნიორი). ქალაქი ასევე წარმოადგენს პოპულარული ტურისტული დანიშნულების ადგილს.

ბათუმს აქვს ზღვის სანაპიროს მოშორებული რეგიონი, რომელიც ავტონომირი რესპუბლიკის თითქმის მთლიან ნაწილს ფარავს და ასევე მის სიახლოვეს არსებულ ტერიტორიას, ძირითადად ზღვის სანაპიროს. ბათუმის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, თურქეთთან ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობისთვის და მეორეს მხრივ შავი ზღვის რეგიონის ქალაქებთან კომუნიკაციისა და თანმშრომლობის კუთხით.

ბათუმის მოსახლეობა 154, 000 კაცს შეადგენს, ხოლო მისი ტერიტორია 65 კმ2 -ია შავი ზღვის სანაპიროზე და სიდიდით მეორე ქალაქია საქართველოში. (ოფიციალურად გადაინაცვლა მესამე ადგილიდან 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შემდგომ). საზღვრების ბოლოდროინდელმა გაფართოებამ დამატებით 20 000 მოსახლით გაზარდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო მისი ტერიტორია კი 40 კმ2-ით. ქალაქი კარგადაა დაკავშირებული საავტომობილო და სარკინიგზო ქსელთან, ყველაზე მნიშვნელოვან ტრანს-ევრაზიულ სატრანსპორტო მარშრუტებზე. გარდა საზრვაო პორტისა ქალაქს გააჩნია საერთაშორისო აიეროპორტი.

ბათუმის საბჭოთა ეპოქის წამყვანი სამრეწველო დარგები - ნავთობის გადამუშავება, მანქანების წარმოება, კვების და მსუბუქი მრეწველობა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ჩაანაცვლა ტურიზმის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ლოჯისტიკის, სავაჭრო და სხვა მესამეული ეკონომიკის დარგებმა. ზრვისპირა აქტივობების გარდა, ბათუმი და მისი შემოგარენი მდიდარია კულტურული და ბუნებრივი ძეგლების მრავლფეროვნებით, რომლებსაც მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნიათ ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის მოსახლეობის 63% შრომისუნარიანია (მაგ: 15-60 წლამდე ასაკის) და ბოლო წლებში ეკონომიკური აქტივობა გაზრდილია, სამუშაო ადგილების შექმნის პროგრესი კვლავ დაბალია და უმუშევრობის დონე მაღალია, დაახლოებით 30%.

ბათუმს მნიშვნელოვანი სამრეწველო პოტენციალი გააჩნია. მთვარი მოქმედი სამრეწველო საწარმოებია: გემის პორტში სარემონტო ქარხნები და მომსახურება და ბათუმის ნავთობტერმინალი (წარმოების მოცულობა - 15 მილიონი ტონა/წელიწადში).

ბათუმის ტერიტორიაზე არის თავისუფალი გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზი). ტურიზმი არის ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკური დარგი: ბოლო წლებში ტურისტების რაოდენობამ წელიწადში 1 მილიონს გადააჭარბა, რომელთაგან დაახლოებით ნახევარი უცხოელია.

საინტერესოა, რომ განსხვავებით სხვა დიდი ქალაქებისა, მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აჭარის ეკონომიკაში. კომბინირებულად დასაქმების 53% და მთლიანი ბრუნვის 32% მათზე მოდის. (მსოფლიო ბანკი, 2015: 91).

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ბათუმში არსებული მდგომარეობა ამ კუთხით გარკვეულწილად შერეულია. ქალაქი სრულად უზრუნველყოფილია ელექტროენერგიის 24 საათიანი მიწოდებით. სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია 2007 წელს დაიწყო და ამჟამად ქალაქის მოსახლეობის 80% უზრუნველყოფილია 24 საათიანი მომსახურებით. თუმცა, ტურისტების მზარდი შემოდინებით არსებული სატრანსპორტო საშუალებები, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ავტობუსები საჭიროებენ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. გზის ინფრასტრუქტურა საკმაოდ კარგადაა მოვლილი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გარეუბნებში კი გზის საფარი დაზიანებული და უმეტესწილად დაბალი ხარისიხისაა.

ქუთაისი

ისტორიულად ქუთაისი სიდიდით მეორე ქალაქია საქართველოში, მაგრამ 2014 წლის საყოველთაო აღწერის შემდგომ, ქალაქის მოსახლეობის 186 ათასიდან 149.1 ათასამდე შემცირების გამო მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ქუთაისი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონის ცენტრალურ ნაწილში, მდინარე რიონის ორივე ნაპირზე და კარგადაა დაკავშირებული საქართველოს სხვა დიდ ქალაქებთან სარკინიგზო და საავტომობილო გზებით. ქალაქი დასავლეთ საქართველოს მთავარ ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, კომერციულ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა, დრამატული ეკონომიკური ვარდნისა და მოსახლეობის შემცირების შემდგომ, პოსტ საბჭოთა პერიოდში, ქალაქი ცდილობს წამყვანი როლის შეინარჩუნებას. მძიმე მრეწველობის ჩამოშლის შემდგომ 1990-იან წლებში ძირითადი ეკონომიკური აქტივობები ქუთაისში მომსახურებასა და სავაჭრო სექტორებზე კონცენტრირდება.

დღესდღეისობით ქუთაისში არ არის გამოკვეთილი სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია. არსებული მრეწველობა შესაძლოა მიჩნეულ იქნას, როგორც მსუბუქ მრეწველობად, თუმცა არსებობს გარკვეული იმედი მძიმე მრეწველობის თანდათანობით აღდგენის, რადგან ისინი პრივატიზებულია.

ქალაქის მცდელობებიდან, რომელიც მოძველებული საბჭოთა დროის ფუნქციების შეცვლას ისახავდა მიზნად, განვითარების ახალი ეკონომიკური საფუძველის შესაქმნელად, ყველაზე აღსანიშნავი მოვლენა იყო 2011 წელს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის ქუთაისში გადტანა. ეს დასაბუთებულ იქნა დეცენტრალიზაციის სურვილით და ეკონომიკური სტიმულირების უზრუნველსაყოფად ქუთაისში. თუმცა, აღნიშნულ ღონისძიებას ქალაქის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა არსებითად არ გააუმჯობესებია.

ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, მოსახლეობა ელექტროენერგიით, გაზით და სასმელი წყლით უზრუნველყოფილია. ქუთაისის მოსახლეობის 80-85% დაკავშირებულია საკანალიზაციო სისტემბთან. წყალანირების/ წყლის მოხმარების მაჩვენებელი ქუთაისში სავრაუდოდ 90%-ია.

ჩამდინარე/წყლის მოხმარების მაჩვენებელი ქუთაისში, სავარუდოდ 90%-ია. (ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი ქუთაისი. USAID დოკუმენტი, 2013: 66).

საზოგადოებრივი ტრანსპორტი ზომიერად განვითარებულია ქუთაისში, რომელიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი ავტობუსებით, ხოლო დანარჩენი შიდა ქალაქის გადაზიდვები ხორციელდება კერძო მანქანებით/ტაქსებით და მინივენი/სამრშუტო ტაქსებით.

მსოფლიო ბანკის კვლევაში (2015) შეთავაზებულია, რომ ქუთაისს, მისი წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალი დონის შრომითი ძალის და შრომის შედარებით დაბალი ანაზღაურებით, აქვს პოტენციალი განავითაროს ტანსაცმელისა და ტექსტილის დარგები, ისევე, როგორც სამშენებლო მასალების წარმოება და ტურიზმი .

მონო-ინდუსტრიული ქალაქები

ბუნებრივი რესურსების მოპოვებამ და წარმოებამ საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მონოინდუსტრიული დასახლებების ჩამოყალიბება განაპირობა. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი მანგანუმის მადნის (ჭიათურა), ნახშირის (ტყიბული, ტყვარჩელი, ვალე), პოლიმეტალის (კვაისი, კაზრეთი), ანდეზიტის (ბაკურიანი) მოპოვება და ჰიდროელექტროენერგიის (ჯვარი, გუმათიჰესი, ზაჰესი) და თერმული ენერგიის (გარდაბანი) წარმოება იყო. ასეთი ქალაქები საბჭოთა კავშირის მძლავრად ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის მოშლის შედეგად გამოწვეული კრიზისისგან განსაკუთრებით დაუცველი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქალაქმა კერძო ინვესტიციებისა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების წყალობით ეს კრიზისი ნაწილობრივ დაძლია, საერთო ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება მაინც არ დაფიქსირებულა.

ზესტაფონმა თავისი მოსახლეობის და ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობის საკმაოდ დიდი ნაწილის შენარჩუნება მოახერხა, რაც, სავარაუდოდ, მისმა სახარბიელო გეოგრაფიულმა მდებარეობამ (იგი იმერეთის რეგიონის შუაგულში, ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქის, ქუთაისის მახლობლად მდებარეობს) და შედარებით ეფექტიანმა მართვამ განაპირობა. რუსთავმა, საქართველოს უდიდესმა მონოქალაქმა[6], ადგილობრივი

[6] ფაქტობრივად, ქალაქ რუსთავის ერთფუნქციურ ქალაქად მოხსენიება გარკვეულწილად არაზუსტია. საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ქვემო ქართლში მრეწველობაზე მდღ-ის ორჯერ უფრო დიდი წილი მოდის, ვიდრე სოფლის მეურნეობაზე. რეგიონის ინდუსტრიულ ხერხემალს ოთხი ძირითადი საწარმო ქმნის. ესენია: რუსთავის ფოლადის ქარხანა, რუსთავის ქიმიური საწარმო, ჰაიდელბერგ ცემენტი და რუსთავისა და კაზრეთის ოქროს მაღაროები.

ეკონომიკის გამოცოცხლება საკმაოდ წარმატებით მოახდინა, რაც თბილისთან სიახლოვემ, შედარებით ძლიერმა ადამიანურმა კაპიტალმა, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების საზღვრებთან მოსახერხებელმა მდებარეობამ და ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულმა იმ წარმატებულმა ცდებმა განაპირობა, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური საქმიანობების გამრავალფეროვნებისკენ (ახალი ბაზრების გახსნა და ადმინისტრაციული სერვისებით. მაგ.: მეორადი ავტომანქანების დიდი ბაზრობა).

5.2 სოფლის მეურნეობა

მიმოხილვა

საქართველოს ძლიერი სოფლის მეურნეობის ტრადიცია გააჩნია. საბჭოთა კონტროლის დროსაც კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ექსპორტიორი იყო. საქართველოს 30 მილიონ ჰექტარზე მეტი (ეროვნული ტერიტორიის 40%) სასოფლო-სამეურნეო მიწაა, მათ შორის საძოვრები და მდელოები.

მიწის პრივატიზაციის პროცესის შედეგად, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1990-იანი წლებში განხორციელდა, შექმნა მრავალი მცირე საოჯახო მეურნეობები. ეს მოდელი ფართოდ არსებობს. ფერმერთა უმრავლესობა მიწის ნაკვეთის 2 ჰა-ზე ნაკლებს ფლობს და ხშირად ეს მიწები დანაწევრებულია სხვადასხვა ადგილებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას მიწის რესურსების ფრაგმენტაცია და მცირე ზომის ფერმები წარმოადგენს. ფერმების 98% ხუთ ჰექტარზე ნაკლებს ფლობს და ფერმერთა მთლიანი რაოდენობის 75% 1 ჰექტარს ან უფრო ნაკლებს ფლობს. ასევე არსებობს ზოგიერთი საშუალო ზომის საოჯახო ფერმები და დიდი კორპორატიული მეურნეობები, რომლებსაც ძირითადად სახელმწიფო მიწა იჯარით აქვთ აღებული. საძოვრები (სათემო საძოვარი) ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი მართვა თემებისა და მუნიციპალიტეტების მიერ ხორციელდება.

სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გავრცელებული სარწყავი სისტემები, სერიოზულად დაზიანდა საბჭოთა კავშირშირის დაშლის შემდეგ. საბჭოთა კავშირის დროს დაახლოებით 386.000 ჰა მიწა ირწყვებოდა, 2012 წელს კი მხოლოდ 45,000 ჰა. თუმცა, ბოლო წელს საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიამ (2015 წლიდან, შპს საქართველოს მელიორაცია) შეიმუშავა ეს სერვისი და ამჟამად უზრუნველყოფს 97,000 ჰა მიწის მორწყვას. საერთო ჯამში, მიწის გაუმჯობესება მორწყვის საშუალებით (ძირითადად სადრენაჟო და სარწყავი) ასევე იზრდება. 2012 წელს დასავლეთ საქართველოში 14,000 ჰა მიწის დაშრობა განხორციელდა და 2015 წელს დამშრალი ტერიტორიები გაფართოვდა 28.375 ჰა-მდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის, ასევე, უხდებოდა განმეორებითი ემბარგოს

გამკლავება ისტორიულად მნიშვნელოვან რუსულ ბაზარზე. გარდა ამისა, რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტის შედეგად 2014 წელს ექსპორტი ერთი მეოთხედით შემცირდა უკრაინაში 2013 წელთან შედარებით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე არსებული გამოწვევები, დაკავშირებულია არა მხოლოდ მიწის ფრაგმენტაცით (და მიწის რეეესტრის არარარსებობით), არამედ ასევე უნარჩვევების დაბალი დონით, დადგენილი ტექნოლოგიების დაფინანსური საკითხების ნაკლებობით, როგორიცაა აგროკრედიტებსა და დაზღვევაზე არასაკმარისი წვდომა. თუმცა ყველა ამ საკითხის გადაჭრა სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებების საშუალებით ხორციელდება (ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით) და მიუხედავად ამ დაბრკოლებებისა, ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულების ზრდა 2014 წელს 5.2% იყო 2013 წელთან შედარებით და 20,3% 2012 წელთან შედარებით. 2009 – 2014 წლებში, პროდუქტის ოთხმა კატეგორიამ (თხილი, ალკოჰოლური სასმელები და ლიქიორები; ღვინო და მინერალური წყლები) საქართველოს მთლიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის 75% შეადგინა.

გარდა ამისა, საქართველოს სოფლის მეურნეობას ასევე აქვს რეგიონული განზომილება- რეგიონებში სპეციალური კონკრეტული პროდუქტები იწარმოება. (მაგ: ღვინო იწარმოება კახეთში, კარტოფილი სამცხე-ჯავახეთში, ციტრუსი აჭარაში). დასავლეთ საქართველო ძირითადად ჩაის და ციტრუსის წარმოებით იყო ცნობილი, ხოლო აღმოსავლეთი ღვინისა და ხორბლის წარმოებით. ზოგადად, სოფლის მეურნეობაში წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების უდიდესი წილი სამცხე-ჯავახეთზე მოდის. რაც, ძირითადად, გამოწვეულია რეგიონული წარმოების კონსოლიდაციით და კომერციული ორიენტაციით. ეს პროდუქტებია: კარტოფილი, ხორცი, რძის პროდუქტები, ასევე მაღალი დამატებითი ღირებულების კალმახი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი შედარებით დაბალია მაღალმთიან და უფრო ურბანიზებულ რეგიონებში.

საქართველოს ტერიტორიის 43.4%-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას წარმოადგენს (3 მილიონ ჰექტარზე ოდნავ მეტი). გარემო პირობებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას შავი ზღვა ესაზღვრება, ეკოლოგიური და წარმოების შესაძლებლობები საკმაოდ ფართოა (საქართველოში 12 სხვადასხვა კლიმატური ზონა და 49 ტიპის ნიადაგია). ქვეყანა ასევე მდიდარია სარწყავი და სასმელი წყლის რესურსებით.

ბუნებრივი სიმდიდრეების წყალობით, სოფლის მეურნეობა საქართველოში გამოირჩევა პროდუქტების ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ფარგლებში. მოსავლიანობის პიკის პერიოდში ქვეყანას 70%-ზე მეტი საკვები და სასოფლო-სამეურნეო საქონელი საზღვარგარეთ გააქვს, რაც იმპორტის საჭიროების

მაჩვენებელზე მაღალია.

მოსახლეობის 50%-ზე მეტის ჩართულობის მიუხედავად, საქართველოს სოფლის მეურნეობა ძირითადად ფრაგმენტულია. ფერმერების უმეტესობა 2 ჰექტარზე ნაკლებ მიწას ფლობს და ისინიც კი ხშირად დაცალკევებულია. ქვეყნის სოფლის-მეურნეობის განვითარების ყველაზე დიდ ბარიერს მიწის ფრაგმენტაცია და ნაკვეთების მცირე ზომა წარმოადგენს. ნაკვეთების 98.4% 5 ჰექტარზე ნაკლებია, 75% კი ერთჰექტრიანი, ან უფრო მცირე ზომისაა.

სხვადასხვა ტიპის ნიადაგისა და კლიმატის გავლენით, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო ერთმანეთისგან განსხვავებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე სპეციალიზდება. აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ნაყოფიერი ნიადაგი და ხელსაყრელი პირობებია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველო გამოირჩევა უფრო რბილი კლიმატით და ისეთი სუბტროპიკული კულტურების წარმოების შესაძლებლობით, როგორებიცაა ხურმა, ციტრუსი და თხილი. რბილი კლიმატი აღმოსავლეთში ასევე იძლევა მწვანილების არასეზონურ პერიოდში მოყვანის შესაძლებლობას სათბურებში.

აღმოსავლეთ საქართველო

წარმოება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მექანიზებულია, ვიდრე დასავლეთში; თუმცა წარმოებული პროდუქციისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მნიშვნელოვანი ოდენობა იზიდავს უამრავ ადამიანს დასავლეთიდან, როგორც სეზონურ მუშახელს. (დასავლეთ საქართველო უფრო მეტ აქცენტს ადამიანურ რესურსზე აკეთებს პროდუქციის წარმოებისას).

მიუხედავად იმისა, აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90%-ზე მეტი ჯერ კიდევ საოჯახო ფერმებზე მოდის, რომელთა წარმოება მხოლოდ პირადი სარგებლობისთვისაა განკუთვნილი, კომერციალიზაციის დონე აღმოსავლეთ საქართველოში მაინც ყველაზე მაღალია საქართველოს მასშტაბით.

მარცვლეულის მოყვანა საქართველოში საკმაოდ მექანიზებულია და ადამიანური რესურსის დიდი ოდენობით ჩართულობას არ მოითხოვს. ხორბლისა და ქერის წარმოება ძირითადად საშუალო და დიდი ზომის ტერიტორიებზეა კონცენტრირებული.

ხორბლის მოყვანა ძირითადად ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ხდება - უმეტესწილად კახეთში (მიუხედავად ტერიტორიის შემცირებისა), ხოლო შემდეგ შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

სიმინდის მოყვანის უმთავრესი ტერიტორიებია კახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. იგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებიდან ყველაზე მომგებიანია, თუმცა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ინტენსიურ მორწყვას საჭიროებს, რათა ნიადაგი მუდამ

ტენიანი ჰქონდეს. სიმინდის წარმოებაც საკმაოდ მექანიზებულია.

ყურძენი - ღვინის წარმოება სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი სექტორია და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთათვის საკმაოდ მომგებიანია, შემოსავლის კუთხით. საქართველოში 500-ზე მეტი სახეობის ყურძენია, მსგავსი მრავალფეროვნება მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ გვხდება. ამ სახეობათაგან 40 გამოიყენება კომერციული ღვინის საწარმოებლად. ქვეყნის კლიმატური პირობები იდეალურია მევენახეობისათვის - ზაფხულის სეზონი ნაკლები სიცხით, ხოლო ზამთარი სითბოთი გამოირჩევა. გარდა ამისა, მთები ვენახების გარშემო სავსეა ბუნებრივი წყაროებით და მდინარეებიდან მინერალებით უხვი წყლები ჩაედინება ხეობებში.

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 150 მილიონი ლიტრი ღვინო მზადდება, რისთვისაც 45 000-მდე ჰექტარი ვენახი მუშავდება. აქ 18 მევენახეობის სპეციფიკური ზონა, ანუ ადგილწარმოშობის რაიონია, სადაც ყურძნის მრავალფეროვნებასა და ვაზის დარგვის სიმჭიდროვეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აკონტროლებს და ყურძნის მოსავალი ჰექტარზე 8 ტონას არ ეღემატება.

დღეს ვენახების საერთო ოდენობის 65-70% კახეთის რეგიონშია თავმოყრილი, შესაბამისად კახეთი პირველია ვენახების ერთიანი ფართობის თვალსაზრისითაც (33 582), შემდგომ მოდის იმერეთი და შიდა ქართლი.

აღმოსავლეთ საქართველო გამოირჩევა ხილის მრავალფეროვნებით. კახეთში მოდის ადრეული კურკოვანი ხილი, კენკრა, საზამთრო და ნესვი. გურჯაანს, ლაგოდეხს, თელავის ნაწილს, სიღნაღსა და ყვარელს დიდი პოტენციალი გააჩნია ამ მიმართულებით. გურჯაანი ცნობილია ატმის მოყვანით. ხურმა და კივი იწარმოება ლაგოდეხში. კურკოვანი ხილისა და ხურმის მოსავლის უმეტესობა გათვლილია ექსპორტზე და ადგილობრივ საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენით გამოირჩევა. კახეთი ყოველწლიურად 15 000 მტ ატმის ექსპორტს ახორციელებს.

შიდა ქართლი ცნობილია *ვაშლის წარმოებით,* იქ დაახლოებით 10 000 ჰექტარი ბაღებს უკავია, რომელთაგან 1500 ჰექტარზე თანამედროვე ჯუჯა და ნახევრად ჯუჯა ხეებია დარგული. აქ ყოველწლიურად დაახლოებით 150,000 მტ ვაშლი მოდის, რომელთაგან დიდი ნაწილი ვაშლის წვენის კონცენტრატად მუშავდება, ხოლო ნაწილი ცოცხლად იყიდება.

ბოსტნეული და ბაღჩეული - აღმოსავლეთ საქართველო ორიენტირებულია ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მოყვანაზე (მარწყვი, საზამთრო, ნესვი და გოგრა), რაც ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ჯაჭვია სოფლის მეურნეობაში. აღნიშნულ სექტორს დიდი პოტენციალი აქვს ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და კახეთშიც.

ქვემო ქართლი წარმოადგენს პომიდვრის, კიტრის, ბადრიჯნისა და ბულგარული წიწაკის

უმსხვილეს მომწოდებელს, რომელიც მთელი სეზონის განმავლობაში ამარაგებს თბილისს და სხვა დიდ ქალაქებს საქართველოში. დიდი გადამამუშავებელი საწარმოების უმეტესობაც აქ მდებარეობს. მოსავლის აღების პერიოდში დამხმარე სამუშაო ძალა დასავლეთ საქართველოდან ჩამოდის.

ბაღჩეულის უმსხვილესი მომწოდებელი კახეთია, მას მოსდევს ქვემო ქართლი, ძირითადად საშუალო ზომის მეურნეობით. სასოფლო-სამეურნეო კულტურათაგან ზოგიერთი მეზობელ ქვეყნებში გააქვთ.

კარტოფილი - კარტოფილის წარმოების მნიშვნელოვანი წილი კონცენტრირებულია სამცხე-ჯავახეთში, სადაც ქვეყნის კარტოფილის პლანტაციების 52% მდებარეობს (2011). არ რეგიონიდან მიღებული მოსავალი 22%-ით აღემატება საქართველოს მიერ საშუალოდ მიღებულ მოსავალს. სამცხე-ჯავახეთს, კარტოფილის პლანტაციების საშუალო ფართობით 10 000 ჰექტარი, მოსდევს ქვემო ქართლი 7000 ჰექტარი მიწით. ორივე რეგიონზე კარტოფილის წარმოების დაახლოებით 85% მოდის. აღნიშნული წარმოება საქართველოში დამახასიათებელია საშუალო და დიდი ზომის ფერმებისთვის საერთო ფართობით - 3-5 ჰექტარი.

მეცხოველეობა - მეცხოველეობა აღმოსავლეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ყოველთვის, რასაც ასევე უწყობდა ხელს ქვეყნის ბუნებრივი პირობები და რესურსები. მეცხოველეობის მიმართულებით ქვემო ქართლი და სამცხე ჯავახეთი ლიდერობენ, პირუტყვთა ჯამური ოდენობით 250 000. კახეთში აღნიშნული მონაცემი 120 000 -ს ტოლია, შემდეგ მოდის შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი.

მეცხოველეობის ბიზნესი აღმოსავლეთ საქართველოში კონცენტრირებულია საშუალო და მსხვილ ფერმებში და ძირითადად მთიან რეგიონებში, სადაც საძოვრებისა და მდელოების ფართობი დიდია. მეცხოველეობა აგრეთვე საკვების გარანტიაა მცირე ფერმერებისთვის.

მეცხვარეობაც აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, რომელიც დაახლოებით 700 000 *ცხვარს* აერთიანებს და ფართო მასშტაბითაა წარმოდგენილი კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში. იგი კომერციულია, ორიენტირებულია ექსპორტზე და ხასიათდება მაღალი მომგებიანობით.

დასავლეთ საქართველო

საქართველო *თხილის* ერთ-ერთი წამყვანი ექსპორტიორია და მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 5.8%-ს მოიცავს. ექსპორტი თანაბრად ნაწილდება ბაზრებზე და არცერთი ქვეყანა არ იღებს ბაზრის წილის 12%-ზე მეტს. საქართველოს ნომერ პირველი კონკურენტი თურქეთია, მსოფლიო ვაჭრობის 74%-იანი წილით და საქართველოსთან

შედარებით საშუალოდ $0.72-ით მეტი მოგებით 1 კილოგრამზე. თურქეთი ბაზრის ლიდერი და სტანდარტის განმსაზღვრელია აღნიშნული კულტურის ფარგლებში. ზრდის ბარიერად საქართველოში წარმოების დაბალი ხარისხი სახელდება.

2006 წელს საქართველომ თხილის მოსავლის 51%-ის ექსპორტი განახორციელა, 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 85%-ს გაუტოლდა. თხილი დაახლოებით 40 000 ფერმერს მოჰყავს. უშუალოდ პლანტაციების ზომა ნახევარი ჰექტრიდან (მწარმოებელთა 80%) 200-300 ჰექტრამდე (მწარმოებელთა 20%) მერყეობს, ხოლო მდებარეობა ძირითადად 4 რეგიონით განისაზღვრება - იმერეთით, სამეგრელო და ზემო სვანეთით, გურიითა და კახეთით.

ციტრუსი - მანდარინის ინდუსტრია მამოძრავებელი ეკონომიკური ძალაა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში, სადაც შემოსავლის უმეტესი წილი მანდარინის რეალიზაციიდან შედის. 2012 წელს მანდარინის რეალიზაციამ ქართველ ექსპორტიორებს 7.1 მილიონი დოლარი მოუტანა და დღესაც რჩება სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტად ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით. მსოფლიო დონეზე მანდარინის წარმოების მასშტაბები საქართველოში უმნიშვნელოა და გლობალური ექსპორტის ოდენობის 0.12%-ს მოიცავს. აღნიშნულ სფეროში წარმატებისა და მოგების გასაზრდელად საქართველომ მაქსიმალური ძალისხმევით საექსპორტო ბაზრებზე ქართული მანდარინის დიფერენცირება უნდა მოახდინოს. ბაზრის ანალიზის მიხედვით საქართველოს ექსპორტის 82% უკრაინულ ბაზარზე გადის. ერთ ბაზარზე ორიენტაცია ხელს უშლის ქართული მანდარინის განვითარებას ხარისხისა და მოცულობის კუთხით.

მწვანილი - მწვანილი რჩება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო კულტურად საქართველოში, განსაკუთრებით იმერეთის რეგიონში. წყალტუბო არასეზონური მწვანილების უმსხვილეს მწარმოებელს წარმოადგენს. მწვანილების მოყვანა ხდება სასათბურე პირობებში. სათბურების საშუალო ზომა 500-1200 m^2-ია, გვირაბი 900 ჰექტარია. წარმოება აქტიურია ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით და წლიური საექსპორტო მოცულობა აღემატება 5000 მგ-ს. პროდუქცია მოიცავს კამას (85%) ოხრახუშს (5%), ქინძს (5%) და სხვა მწვანილებს (5%). აღნიშნული კულტურა ეკონომიკურად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. არასეზონური პროდუქციისთვის საექსპორტო ბაზარი კვლავ არამრავალფეროვანია და შემოიფარგლება უკრაინის, რუსეთისა და ბელორუსიის ტერიტორიით. ადგილობრივ მწარმოებლებს რუსეთში ექსპორტთან დაკავშირებით პრობლემები ჯერ კიდევ აქვთ, მიუხედევად იმისა, რომ ოფიციალურად ბაზარი ღიაა და ფორმალური ბარიერები მოხსნილია.

ხურმა - ხურმა საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში და დაახლოებით 1500 ჰა მიწის ნაკვეთს მოიცავს (მათ შორის მიმოფანტული ხეები). ხურმის უდიდესი ნაწილი მოდის სამეგრელო ზემო სვანეთში (700 ჰა), აჭარასა (150 ჰა) და იმერეთში (300 ჰა). საექსპორტოდ და გასაშრობად სხვადასხვა სახის ხურმას იყენებენ (კავკასიური და აღმოსავლური -

იაპონური და ჩინური). საშუალოდ 5000 მტ ხურმის ექსპორტი ხორციელდება უკრაინაში, რუსეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში.

მეტყევეობა

საქართველოსთვის ტყეები პოტენციურად ძალზედ მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია. მათ ქვეყნის ტერიტორიის 40% უკავია და როგორც საწვავისა და ნედლეულის წყარო ისტორიულად ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემებისთვის, ასევე ზოგადად მნიშვნელოვანი აქტივია ქვეყანისთვის. ტყეების დაახლოებით 60% განლაგებულია შავი ზღვის (დასავლეთ) აუზში, ხოლო დანარჩენი ნაწილი კასპიის ზღვის აუზში. უმრავლესობა მთის ტყეებს განეკუთვნება, ტყეთა მხოლოდ 3%-ია განეკუთვნება ბარის ტყეებს. ეს რესურსი იურიდიულად სახელმწიფო საკუთრებაშია და მთლიანად მართავს ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო, მაგრამ ბევრი რეგიონული და კერძო მოთამაშეებიც არიან ჩართულნი. მუნიციპალიტეტების როლი იურიდიულად, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარისი კანონმდებლობა და ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების უფლებები არ არის მკაფიოდ გამიჯნული.

სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნული სექტორის ბევრ დონეზე პრობლემებია. ტყის ინვენტარიზაციის პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე დაიწყო, არ დასრულებულა, საკუთრების საკითხები, სულ მცირე, ისევე გართულებულია, როგორც სოფლის მეურნეობისთვის, ხოლო უკანონო ექსპლუატაცია მორეციდივე ხასიათისაა. მენეჯმენტი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას სათანადოდ, შეზღუდული ადამიანური, თუ ფინანსური რესურსებისა და საკანონმდებლო ბაზის არასრულფასოვნების გამო. პრობლემას წარმოადგენს ეროზია, დეგრადაცია და პოტენციურად ღირებული რესურსის უკანონო ექსპლუატაცია, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ცხრილი 4: საქართველოს ტყეებიდან მიღებული ხე-ტყის მასალა (მეტრი [3])

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
საქართველოს, სულ	888,211	915,323	778,571	876,749	681,669	518,792	702,137
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	82,788	97,092	81,110	77,868	86,236	71,313	75,894

სამეგრელო და ზემო სვანეთი	72,044	106,282	53,423	91,524	42,671	44,229	57,709
გურია	28,116	33,043	28,296	16,193	10,546	26,836	10,150
იმერეთი	118,035	84,907	84,455	97,440	43,643	34,580	90,449
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	46,081	36,559	41,690	37,148	42,992	51,067	54,165
შიდა ქართლი	94,077	84,430	82,439	103,848	70,730	43,911	85,883
მცხეთა-მთიანეთი	93,132	86,426	66,466	86,944	61,884	45,517	52,772
კახეთი	159,177	184,164	151,450	181,706	150,756	91,025	136,938
ქვემო ქართლი	88,180	82,715	90,138	89,704	75,668	46,622	46,980
სამცხე-ჯავახეთი	106,581	119,705	99,104	94,374	96,543	63,692	91,197

წყაროები: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტრო. აჭარის სატყეო სააგენტო.

სატყეო სექტორის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯად ეროვნული სატყეო კონცეფცია ითვლება, რომელიც პარლამენტმა 2013 წლის დეკემბერში დაამტკიცა. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, რომელთაგან ერთ-ერთია - „ყველა ტყე ადგილობრივია“, რაც გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების პრიორიტეტულობას.

უფრო მეტიც, 2015 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტომ მოამზადა "ტყის კოდექსი"ახალი პროექტი, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ტყის და მისი მართვის პრინციპებს, ასევე ფუნქციების გადანაწილებას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის.

რამდენად შესაძლებელია სათანადო რესურსების გამოყოფა ასეთი ინიციატივებისთვის და როგორ მოხდება მათი განვითარება პრაქტიკაში ჯერ არ არის გარკვეული.

6. შრომის ბაზარი, განათლება და გადამზადება [7]

შრომის ბაზარი – ზოგადი მიმოხილვა

1990 და 2000 წლებს შორის საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა 37%-ით (2 763 300-დან 1 732 700-მდე) შემცირდა[8]. შედეგად, ბევრმა დიდმა, თუ მცირე ზომის ქალაქმა თავისი მოსახლეობის თითქმის მესამედი დაკარგა. აღნიშნული ტენდენცია ნაწილობრივ შეიცვალა 2005 წლის შემდეგ, როდესაც ინდუსტრიული საქმიანობის გამოცოცხლება აღინიშნა. საქართველოში შრომითი ბაზრის მდგომარეობა ბოლო წლებშიც აგრძელებს გაუარესებას, რაზეც დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ვარდნა მიუთითებს.

დასაქმების დონის ასეთ ვარდნას უფრო მეტად არააქტიურობის, ვიდრე უმუშევრობის გაზრდა ახლავს თან. საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მქონე ადამიანების ორ მესამედზე ნაკლებია ეკონომიკურად აქტიური, რაც ევროკავშირის მაჩვენებელს (70%) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება. სამუშაო ძალის ძალიან დაბალი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალშისაცემია ურბანულ ზონებში, სადაც შრომისუნარიანი ასაკის მქონე მოსახლეობის მხოლოდ 58%-ია ეკონომიკურად აქტიური.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის დიდი ნაწილი სოფლადაა დასახლებული, შესაბამისად, მუშახელის უმეტესობა სოფლის მეურნეობის დარგშია დასაქმებული. არსებული მონაცემებით, მთლიანი დასაქმების დაახლოებით 40% ქალაქებზე მოდის, მაშინ, როდესაც არასასოფლო სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლებია. სოფლის მეურნეობის გარეთ დასაქმებულები დასაქმებულთა მთლიანი მაჩვენებლის 50%-ზე ნაკლებს შეადგენენ. მრეწველობა და მშენებლობა ასაქმებს სამუშაო ძალის დაახლოებით 10%-ს. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მთავარი კომპონენტია მომსახურება, რომლის წილი მთლიან დასაქმებაში 35% (2008) -38.5% (2013) ფარგლებში მერყეობს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თვითდასაქმებულთა დონე საკმაოდ მაღალია. განსაკუთრებით სოფლად, სადაც 1990-ანი წლების მიწის რეფორმის დროს ყველა მოსახლეს მცირე ზომის მიწის ნაკვეთი გადაეცა. სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების მფლობელი მოსახლეობა განიხილება სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულად. ამ მახასიათებლის მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 2012-2013 წლებში სახელმწიფო ვაუჩერის პროგრამით დაახლოებით 700 000-მა ოჯახმა ისარგებლა.

---

[7] როგორც შესასავლ ნაწილში იყო აღნიშნული, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს ჯერ გავლენა არ მოუხდენიათ საქართველოში დასაქმების მონაცემებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ საკითხზე სტატისტიკურ ანალიზს და ინტერპრეტირებას

[8] საქართველოს გეოგრაფია, 2003, 73.

თვითდასაქმების მაჩვენებელი მაღალია ქალაქებშიც, თუმცა სოფლის ზონებს მაინც ჩამოუვარდება. 2000 წლიდან მოყოლებული თვითდასაქმებულთა საერთო რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. 2004 წელს კი პიკს მიაღწია და მთლიანი სამუშაო ძალის ორი მესამედი შეადგინა. თვითდასაქმების მაჩვენებელმა კლება 2004 წლიდან დაიწყო ოფიციალურ სექტორში სამუშაო შესაძლებლობების გაუმჯობესების ფონზე. თუმცა ქართველ დასაქმებულთა უმრავლესობა კვლავ თვითდასაქმებულად რჩება.

კერძო სექტორში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. 2012 წელს გამოყენებულ წყაროზე დაყრდნობით, დასაქმებულთა რაოდენობიდან ნახევარზე ნაკლებია იმ მუშაკთა ოდენობა რომელიც ჭეშმარიტად კერძო კომპანიაში საქმიანობს (ეს მაჩვენებელი, დარგების მიხედვით განსხვავდება და მრეწველობაში - 50%-ს, საბაზრო მომსახურებაში - 66%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობაში - 72%-ს შეადგენს). დაქირავებულთა დაახლოებით 50% ისეთ კომპანიებში დასაქმებული, რომელთა მთავარი მეწილე სახელმწიფოა. მთლიანად სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფ კომპანიებში დასაქმების მაჩვენებელი უმნიშვნელოა და მათი საერთო წილი 10%-ზე ნაკლებია.

შრომის ბაზარი - რეგიონული განსხვავებები

მთავარი რეგიონული უთანაბრობა საქართველოს შრომის ბაზარზე თბილისსა და ქვეყნის დანარჩენ რეგიონებს შორის აღინიშნება, თუმცა რეგიონთაშორისი განსხვავებებიც მრავლადაა. (მაგ.: აჭარაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოხატული დეფიციტია, უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ქვემო ქართლში). ასეთი აშკარა სხვაობები გამოხატულია სხვადასხვა რეგიონის ურბანულ და სოფლის მახასიათებლებში. ოფიციალური მონაცემებით, უმუშევრობის დონე სოფლად გაცილებით დაბალია, ვიდრე ქალაქებში და აღნიშნული სხვაობა დაახლოებით 20%-ს შეადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლად დასაქმებულთა დიდი წილი თვითდასაქმებულ ფერმერებზე მოდის - მინიმალური შემოსავლებითა და სამუშაო ძალით.

ურბანიზაციის დონის ზემოქმედება რეგიონულ უმუშევრობაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, ერთადერთი გამონაკლისი იმერეთია, რომლის ურბანიზაციის ხარისხი ყველაზე მაღალია თბილისის შემდეგ, თუმცა უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. იმავე ხარისხის ურბანიზებულობის პირობებში - აჭარაში უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

აღნიშნული შესაძლოა ეკონომიკური სტრუქტურის განსხვავებულობით აიხსნას. აჭარის ეკონომიკის დიდ წილს ტურიზმი და მშენებლობა ქმნის, ხოლო იმერეთში საწარმოო მრეწველობა დომინირებს. ტურიზმსა და მშენებლობის სექტორში დასაქმება მოკლევადიანია, თუმცა, მუდმივ სამუშაოსთან შედარებით მარტივად მოსაპოვებელია

(მუშახელს ნაკლები კვალიფიკაცია მოეთხოვება). ეს, წესით იმედგაცრუებული მუშახელის რიცხვს უნდა ამცირებდეს, ვინაიდან სამსახურის, თუნდაც დროებითის შოვნის ალბათობა მეტია. თუმცა, მეორე მხრივ უმუშევრობის დონე იზრდება, იმატებს რა სამუშაო ძალის რაოდენობა (რაც დასაქმებულების ან სამსახურის აქტიურად მაძიებლების რაოდენობით განისაზღვრება).

დასაქმების მაჩვენებელი 2008 წლის აგვისტოს ომის და გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში დაეცა და მას შემდეგ მხოლოდ უმნიშვნელოდ გაიზარდა. ერთადერთს გამონაკლისს აჭარა წარმოადგენდა, სადაც კრიზისის განმავლობაშიც დასაქმების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. აღნიშნული მოვლენა შეიძლება ტურიზმისა და მშენებლობის სექტორების განვითარებით, ან 2008 წელს დასაქმების დაბალი დონით აიხსნას. მეორე მხრივ, დასაქმების მაჩვენებელი თბილისში საგრძნობლად ჩამოუვარდება საქართველოს ნებისმიერ სხვა რეგიონში დაფიქსირებულ მონაცემს. სხვა მხრივ, რეგიონებს შორის არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

განათლება და გადამზადება

საქართველოს მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. თბილისი ქვეყნის ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემის უდავო ცენტრია, 49 უმაღლესი (10 საჯარო და 39 კერძო) და 5 საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებით, რაც ქვეყნის დანარჩენ ნაწილში არსებულ მსგავსი ტიპის დაწესებულებებზე მეტია. თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელს. იმავდროულად, სკოლათა რაოდენობა ყოველ 1000 მოსწავლეზე უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვაგან. უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის თვალსაზრისით, მეორე, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იმერეთი იკავებს. მესამე ადგილზე აჭარაა. რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო- სვანეთში უნივერისტეტები არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა რეგიონი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის წილით თბილისს ბევრად ჩამორჩება, სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონებში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის რიცხვი, სხვა რეგიონებთან შედარებით, საკმაოდ მაღალია.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის ორ რეგიონში, მათ შორის, მთელ რიგ ურბანულ ცენტრებში და სამცხე-ჯავახეთის ყველა სოფლის ტიპის დასახლებებში განათლების დონე საშუალოზე დაბალია. ეს, როგორც ჩანს განპირობებულია ამ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობების მაღალი კონცენტრაციით, რომელთა უმრავლესობა არ არის ინტეგრირებული არც ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში და არც შრომის ბაზარში. ეს, აგრეთვე, შეიძლება იხსნებოდეს მოსახლეობის თანდათანობითი შემცირებით პატარა და დიდი ზომის ქალაქებში (მაგ.: წალკა, ნინოწმინდა). საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა მოცემულია დიაგრამაში 3.

პროფესიული განათლება უმაღლესი განათლების ალტერნატივას წარმოადგენს. 1990-ანებში არსებული ეკონომიკური სირთულეების, პროფესიული და უმაღლესის სასწავლებლების რაოდენობრივი ზრდის, ჩარიცხვის გამარტივების და მინიმალური სახელმწიფო დაფინანსების პირობებში, პროფესიულ სასწავლებელთა უმეტესმა ნაწილმა ფუნქციონირება შეწყვიტა. იმავდროულად, მოთხოვნა საშუალო პროფესიულ განათლებაზე გაიზარდა, ვინაიდან იგი არ შეესაბამებოდა ბაზრის მოთხოვნებს და ეფუძნებოდა პრესტიჟსა და ცენზს. საშუალო პროფესიული სასწავლებლების უმეტესმა ნაწილმა, გარდამავალ პერიოდში, პროფილი შეიცვალა. მათი უმეტესობა, განსაკუთრებით სამედიცინო დაწესებულებები, ასოცირდებოდა სწავლის შემოკლებულ პერიოდთან, სწავლების დაბალ ხარისხთან და გამარტივებული ჩარიცხვის შესაძლებლობებთან. ისეთი პრესტიჟული მიმართულებები, როგორიცაა მედიცინა და იურისპრუდენცია კორუფციის, განათლების დაბალი დონის და ბევრი სხვა პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მსხვილი საწარმოების დახურვისა და სამრეწველო საქმიანობებზე შემცირებული მოთხოვნის შედეგად, სახელმწიფომ შეწყვიტა ასეთი საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება და ამ პროფესიების დაუფლება ფასიანი გახდა. შედეგად, სახელმწიფო სასწავლებლებში ფასიანი მომსახურების წილი გაიზარდა, თუმცა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გადახდისუუნარობის პირობებში, აღნიშნული ვერ იქცა შრომის ბაზარზე სპეციალისტთა მომზადების მთავარ ფორმად.

პროფესიული განათლების სფეროს მოდერნიზაციის მიზნით, ბოლო ათწლეულში განხორციელებული რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პირობებში, მიღებული იქნა საქართველოს კანონები „პროფესიული განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“; ამოქმედდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები; განათლების სისტემაში დაინერგა თვითშეფასების პრაქტიკა; დამტკიცდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; დამტკიცდა 300-მდე პროფესიული სტანდარტი; დაინერგა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები; ჩატარდა ტრენინგები მასწავლებელთა პროფესიული და საგნობრივი უნარების განვითარების მიზნით; შემუშავდა ახალი სახელმძღვანელოები, განხორციელდა სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტები. თუმცა, განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, პროფესიული განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური მუშახელის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, ვერ უპასუხა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებს, რადგან, სუსტი სოციალური თანამშრომლობის, არათანმიმდევრული პოლიტიკური მხარდაჭერისა და გამოყოფილი რესურსების სიმცირის გამო, თავადვე აღმოჩნდა არაერთი გამოწვევის წინაშე.

დღეს, ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ, 18 კოლეჯი ფუნქციონირებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ/მონაწილეობითაა დაფუძნებული. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის შემცირების ხარჯზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კოლეჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად გარკვეული ინვესტიციები ჩადო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ეს ზომები არ აღმოჩნდა საკმარისი იმ კრიტიკული ვითარების გამოსასწორებლად, რომელიც არსებობს რეგიონებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

სურ 3: საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა



ცხრილი 5: განათლების ინდიკატორები რეგიონების მიხედვით								
რეგიონი	სასწავლო დაწესებულებათა რაოდენობა		მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა		კურსდამთავრებულთა რაოდენობა		ლექტორთა რაოდენობა	
	კერძო	საჯარო	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი
2014								
თბილისი	58	12	4106	3798	2400	1995	1085	465
აჭარა	5	5	832	1129	773	1054	180	98
გ/რ-ლ და ქს*	-	2	248	267	190	168	27	14
იმერეთი	14	3	490	1197	482	779	210	132
კახეთი	3	3	435	477	421	548	74	40

ს-ზს**	8	4	705	562	402	404	73	29
სამცხე-ჯავახეთი	5	2	365	281	260	189	96	39
ქვემო ქართლი	6	1	352	333	226	206	90	31
შიდა ქართლი	6	3	301	304	199	114	98	27
სულ	105	35	7834	8348	5353	5457	1933	875
2013								
თბილისი	1	1	206	217	92	176	28	17
აჭარა	39	10	4297	4811	2275	2293	744	313
გ/რ-ლ და ქს*	5	5	1935	2240	923	1118	130	64
იმერეთი	8	2	955	1364	625	665	200	105
კახეთი	3	2	443	664	169	278	61	28
ს-ზს**	5	4	885	755	499	432	112	50
სამცხე-ჯავახეთი	3	2	457	285	59	74	52	22
ქვემო ქართლი	5	1	480	395	414	460	60	23
შიდა ქართლი	6	2	377	279	125	113	93	24
სულ	75	29	10035	11010	5181	5609	1480	646

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

4. 7. საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარება

ინვესტიციები

მსოფლიო ბანკის „Doing Business“ ანგარიშის მიხედვით, ბოლო წლებში საქართველომ ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად რადიკალური რეფორმები გაატარა. რეფორმების წარმატების შედეგად, ქვეყანამ, 2014 წელს, 112-ე ადგილიდან მე-8-ზე გადაინაცვლა (2006 წლის „Doing Business“ ანგარიშის მიხედვით). გარდა ამისა, 2005-2012 წლებში, საქართველოს მოწინავე რეფორმატორის სტატუსი მიენიჭა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და ეკონომიკურ ზრდას, რომელმაც 2005 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში წლიურ 9%-ს გადააჭარბა.

თუმცა, 2008 წლის ომმა და, პარალელურად გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, პირდაპირი უცხოური ინვესტირების, ექსპორტის, ხელფასებისა და საბანკო სესხების მკვეთრი შემცირება გამოიწვია. 2008 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში, ეკონომიკა 6.5%-ით შემცირდა, 2009 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი - 3.8% -ს გაუტოლდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მკვეთრად შეიზღუდა. თუ 2007 წელს იგი მშპ-ს 16.4%-ს შეადგენდა, 2009 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 6.1% გახდა. ექსპორტი 2007 წელს მშპ-ს 31%-დან 2009 წელს 29.8%-მდე შემცირდა.

მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ფინასურმა დახმარებამ და შედარებით მცირე სახელმწიფო ვალმა მთავრობას ეფექტური ფისკალური პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. შედეგად, საერთაშორისო გამოწვევების მიუხედავად, ქვეყანამ

ეკონომიკური ზრდა განაგრძო, რასაც ხელი 2010-2011 წლებში ექსპორტის ზრდამ და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეუწყო.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციით, 2012 წლის მშპ-ს რეალური ზრდა 6,2% გაუტოლდა, მაშინ როდესაც 2013 წელს იგი 3.2%-ს შეადგენდა (2013 წლის პირველ კვარტალში - 2,4%, მეორე კვარტალში - 1,5%, მესამე კვარტალში - 1,4%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 7,1%). 2013 წლის წინასწარი მონაცემებით, აქტიური ზრდა თითქმის ყველა საქმიანობაში აღინიშნა, სამთომოპოვებითი მრეწველობისა და მშენებლობის სექტორის გარდა. მნიშვნელოვანი ზრდა კი სოფლის მეურნეობისა (9,8%) და დამამუშავებელ მრეწველობაში (8,4%) დაფიქსირდა.

ამ პერიოდში საქართველოში შემოდინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი წილი (22%) ენერგეტიკაზე მოდის (198 მლნ. აშშ დოლარი). მას მოსდევს საფინანსო სექტორი 19%-ით (170 მლნ. აშშ დოლარი) და ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 15%-ით (138 მლნ. აშშ დოლარი). გარკვეული რეგიონული განსხვავებები შეინიშნება საქართველოში ბიზნესის ფლობის კუთხით. მდღ-ს მიხედვით, ქვემო ქართლში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში ბიზნესების უმეტესობას უცხოელები ფლობენ, ხოლო გურიასა და კახეთში ისინი ძირითადად ადგილობრივ მოქალაქეებს ეკუთვნით. სურათი მნიშვნელოვნად განსხვავებულია დასაქმების ჭრილში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლში მდღ-ს თითქმის 70% უცხოურ ბიზნესზე მოდის, მისი წილი მთლიან დასაქმებაში მხოლოდ 15%-მდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში უცხოელების მფლობელობაში არსებული ბიზნესები მოიცავს ისეთ საქმიანობას, რომელშიც ერთ დაქირავებულზე უფრო მაღალი მდღ მოდის.

ცხრილი 6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (აშშ დოლარი, მლნ), 2005-2015

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114	177.2	173.2	194
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014*	1758.4	309.5	196.2	726	526.7
2015*	530	175.3	354.7		

წყარო: საქსტატი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

რეგიონული განსხვავებები შეინიშნება შრომის ნაყოფიერების თვალსაზრისითაც, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს ერთ დასაქმებულზე ინვესტირებული კაპიტალის მოცულობით (თუმცა, თავის მხრივ, კაპიტალდაბანდების მოცულობაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს შრომის ნაყოფიერების კუთხით არსებულმა განსხვავებებმაც). როგორც ჩანს, იმ სპეციფიკურ სექტორებში, რომლებშიც პროდუქტიულობა შედარებით მაღალია, კაპიტალდაბანდების წილიც ერთ დასაქმებულზე, ძირითადად, უფრო დიდია. ასეთი სექტორებია: ქალაქ თბილისსა და ქვემო ქართლში – მრეწველობა; აჭარაში – მშენებლობა; აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში – სასტუმროები და რესტორნები; ქალაქ თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში – ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

საინოვაციო და ტექნოლოგიური განვითარება

საქართველოს პროდუქციის (და ექსპორტის) დიდი ნაწილი არ მუშავდება და უფრო დაბალი დამატებითი ღირებულებით გამოირჩევა, ვიდრე ევროკავშირისა, თუ სხვა მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების პროდუქცია. ექსპორტის ხარისხის წინასწარმა ანალიზმა[9] ცხადყო, რომ რამდენიმე უდიდესი საექსპორტო სექტორის (მაგ.: ქიმიკატები და სატრანსპორტო აღჭურვილობა) საბაზრო წილი და ხარისხი ევროკავშირის ბაზარზე არსებულ კონკურენტებთან შედარებით გაიზარდა. რამდენიმე კი ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა; მაგალითად, საკვები პროდუქტების სექტორმა, ხარისხის გაუმჯობესების მიუხედავად, საბაზრო წილი დაკარგა.

ტექნოლოგიური დახვეწის და „ინოვაციურების“ [10] ხარისხის წინასწარმა შეფასებამ გამოავლინა, რომ ქვეყანა საშუალო მაჩვენებელზე დაბლა ოპერირებს (შეფასებისას ასევე გამოიკვეთა, რომ საქართველოში ამ სფეროებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საქმიანობის გაუმჯობესებულ მაჩვენებელს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, გარდა ამისა, აქ პროცესის ინოვაციურობა უფრო თვალშისაცემია, ვიდრე პროდუქტის).
საქართველოში არც პროდუქციის/პროცესის ტექნოლოგიის თვალსაზრისით და არც ინოვაციური ნაბიჯების კუთხით მნიშვნელოვანი რეგიონული განსხვავებები არ იკვეთება, გარდა იმ სხვაობებისა, რაც ეკონომიკური საქმიანობის უფრო ზოგად დონეებს ასახავს.

საქართველოს რეგიონებში სახეზეა ტექნოლოგიური განახლებისა და ინოვაციების განვითარების მხარდაჭერის სისტემური და ინსტიტუციური ვაკუუმი. მოძველებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა, სუსტი საწარმოო შესაძლებლობები, შრომის დაბალი ნაყოფიერება, წარმოების სხვა ფაქტორების განვითარების არსებული დონე და საჯარო ინტერვენციისა, თუ ხელშეწყობის უკიდურესი შეზღუდულობა მნიშვნელოვნად აბრკოლებს არსებითი ეკონომიკური პროცესების განვითარებას რეგიონებში.

[9] საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის ტექნიკური დახმარების პროექტის საინფორმაციო ფურცელი. მსოფლიო ბანკი - ივნისი, 2013 წელი.
[10] საქართველოს კონკურენტუნარიანი მრეწველობის სექტორის წინასწარი დიაგნოსტიკა, მსოფლიო ბანკი, ივნისი, 2013 წელი.

ჩამოთვლილ გამოწვევებს, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობებს ისიც, რომ, როგორც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, ეროვნული საინოვაციო სისტემებისა და შესაბამისი პლატფორმების განვითარება ვერ იღებს სასურველ შედეგს და ვერ უწყობს სათანადოდ ხელს ქვეყნის საერთო კონკურენტუნარიანობისა თუ პროდუქტიულობის ამაღლებას, თუკი ეს პროცესი მოწყვეტილია საინოვაციო სისტემების ქმედითი და სინერგიული დანერგვა-განვითარებისგან სუბნაციონალურ დონეებზე.

8. შემოსავალი და სიღარიბე

საქართველოში კონკრეტულ რეგიონებში მცხოვრებ ოჯახებს შორის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სხვაობა მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონებს შორის არსებულ სხვაობას. თუმცა, თბილისში საშუალო შემოსავალი ერთ სულზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ქვეყნის ნებისმიერ სხვა რეგიონში - აჭარის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა (ურბანიზებულ რეგიონებში ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი შემოსავალი ფიქსირდება).

სიღარიბე მთავარ პრობლემად მთელს საქართველოში რჩება, მიუხედავად მისი შემცირების მიმართულებით მიღწეული პროგრესის [11], თუმცა ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით მასშტაბურია და საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. იგი მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია უმუშევრობითა და ასევე, ურბანულ და სასოფლო ტიპის დასახლებებში თვითდასაქმებულთა არასაკმარისი შემოსავლით. გლობალურმა კრიზისმა და რუსეთთან ომმა სიღარიბის მასშტაბები და სიმძიმე ქვეყანაში კიდევ უფრო გაზარდა. სოფლად ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა 2009 წელს 24.7% შეადგინა, ხოლო 2013 წელს იგი 27.1 %-მდე გაიზარდა.

სიღარიბის მასშტაბები საქართველოში უფრო დიდია სოფლად, ვიდრე ქალაქებში

ეს სხვაობა 2000-იან წლებში კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. ეკონომიკის სწრაფი ზრდის პერიოდში, ურბანულ ზონებში სიღარიბე 23.7%-დან (2003 წ.) 18%-მდე (2007 წ.) შემცირდა, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში იმავე პერიოდის განმავლობაში იგივე მაჩვენებელი 33%-დან 29.4% გახდა. დღესდღეობით, ქვეყანაში ღარიბთა დაახლოებით 2/3 სასოფლო დასახლებებში ცხოვრობს.

ცხრილი 7: პენსიისა და სოციალური პაკეტების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა რეგიონებისა და სქესის მიხედვით

[11] ზოგიერთი კვლევა (მაგ.: სიღარიბის შეფასება საქართველოში, მსოფლიო ბანკი: 2009. სიღარიბის დინამიკა 2000-იან წლებში, მსოფლიო ბანკი 2011წ.) გაუმჯობესებას 2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკის და სოციალურ რეფორმებს უკავშირებს.

სქესი	მდედრობითი				მამრობითი			
წელი	2008	2010	2012***	2014	2008	2010	2012***	2014
თბილისი	138865	145389	150191	156594	61851	62007	76873	77885
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა*	225	-	-	-	87	-	-	-
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	40457	41182	40624	41810	22775	22805	24660	24976
გურია	21069	20688	19996	20013	11472	11011	11317	11261
იმერეთი	100648	99018	96160	96798	57796	54666	56749	55599
კახეთი	51824	51562	49867	50071	30438	28991	29927	29633
მცხეთა-მთიანეთი	13745	14585	14012	13996	7789	8051	8606	8472
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9377	8784	8256	7913	5506	5052	4876	4544
სამეგრელო-ზემო სვანეთი	63298	62896	60988	61598	33534	32474	33593	33225
სამცხე-ჯავახეთი	24278	22894	22141	22128	14313	13046	13677	13208
ქვემო ქართლი	44896	45638	46092	48250	25539	24882	27472	27693
შიდა ქართლი	39209	38260	36863	37155	23255	22020	24050	23348
საქართველო – სულ	**547891**	**550896**	**545190**	**556326**	**294355**	**285005**	**311800**	**309844**

*მოიცავს მხოლოდ ზემო აფხაზეთს. ** 2008 წლის იანვრის მონაცემების მიხედვით *** „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, 2012 წლის 1-ლი სექტემბრიდან სოციალური პაკეტის მიმღები ჯგუფი მოიცავდა „ხანდაზმულ პენსიონერებს“ და სოციალური პაკეტის ჯგუფში შემავალ წევრებს.

წყარო: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ამჟამად, საქართველოს მთავრობა ქვეყნის მასშტაბით გარკვეული სოციალური დაზღვევის პროგრამების დანერგვაზე მუშაობს, მათ შორის საარსებო შემწეობებზე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის. ასეთი ოჯახების წილი მოსახლეობაში საზოგადოების ეკონომიკური მოწყვლადობის ერთ-ერთი ინდიკატორია.

საქართველოში, სოციალურად დაუცველთა მდგომარეობა რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება. ქალაქ თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე სოციალურად დაუცველი ოჯახების ყველაზე ნაკლები წილი მოდის, ხოლო შიდა ქართლზე – ყველაზე დიდი. ქალაქ თბილისში საარსებო შემწეობას პროცენტულად ყველაზე ნაკლები ოჯახი იღებს, შემდეგ მოდის სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა. რეგისტრირებულ ღარიბთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ძირითადად, მთიან და ეკონომიკურად სუსტ მცხეთა-მთიანეთზე მოდის, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთზე.

ქალაქ თბილისსა და აჭარაში საარსებო შემწეობის შედარებით ნაკლები ბენეფიციარის არსებობა ეკონომიკური განვითარების და დასაქმების დონის ზრდის ტენდენციას შეესაბამება, გამონაკლისს სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონები წარმოადგენს - მათი დაბალი მაჩვენებლებით.

ბოლო წლებში შიდა ქართლში რეგისტრირებული ბენეფიციარების მკვეთრი ზრდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადის შემოსვლის შედეგია. მეორე მხრივ, ქალაქ თბილისსა და იმერეთში იმავე ტენდენციის მიზეზი ეკონომიკური კრიზისის გავლენის მასშტაბებს უკავშირდება. რაც შეეხება მთაში შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შედარებით კლებას, აღნიშნული იქაური მოსახლეობის რიცხვის შემცირებითაა გამოწვეული.



სურ 7: საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის და სოციალურად დაუცველი ოჯახების წილი, 2014 წლის აპრილის მდგომარეობით

წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო

9. კულტურული და რეკრეაციული რესურსები

კულტურული და რეკრეაციული რესურსები არა მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების

ხარისხზე მეტყველებს, არამედ, რაც ამ პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ასახავს დასაქმებისა და ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდის პოტენციალს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის განკუთვნილი მომსახურების ფარგლებში.

საქართველო ბუნებრივი და კულტურული რესურსების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ 12 000-ზე მეტი ისტორიული და კულტურული ძეგლია, რომელთაგან ოთხი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ქვეყანას კარგად განვითარებული მთის, ზღვის და სპა კურორტები აქვს. გარდა ამისა, საქართველოში 87 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიაა, რომელთაგან 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 41 ბუნების ძეგლი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი და 2 დაცული ლანდშაფტია. საქართველო ტურისტებს გამორჩეულ სამზარეულოსა და ღვინოებს, ცოცხალ მუსიკასა და ტრადიციულ ცეკვებს სთავაზობს. ყველაფერი ეს მზარდ საერთაშორისო ინტერესს იწვევს.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ტურისტების რიცხვმა საქართველოში მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით სწრაფად იმატა. 2008 წელს, მსოფლიო ფინანსური კრიზისის დასაწყისში, როდესაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტურისტთა რიცხვი 4%-ით შემცირდა, საქართველოში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 16%-ით გაიზარდა. 2011 წელს საქართველოში ახალი ტურისტული დანიშნულების ქვეყნებს შორის ვიზიტორების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო და 39%-ს შეადგენდა. 2012 წელს უცხოელი სტუმრების რაოდენობამ თითქმის 4.5 მილიონს მიაღწია, რაც 2011 წელთან შედარებით 56%-ით მეტია, ხოლო 2013 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 5,4 მილიონს გაუტოლდა, რაც 21%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი 8).

აჭარის ზღვისპირა რეგიონი (განსაკუთრებით ბათუმი) და დედაქალაქი - თბილისი ლიდერობენ ბაზარზე პოპულარული, საერთაშორისო ბრენდის სასტუმროებით. 2013 წლამდე საქართველოში 1000-მდე განთავსების ერთეული არსებობდა, საერთო მოცულობით 35 000 საწოლი.

ტურისტული საქმიანობის თვალსაზრისით რეგიონებს შორის განსხვავება საკმაოდ დიდია. აჭარის პრიორიტეტი საზღვაო ტურიზმია. საქმიანი და ურბანული ტურიზმის წილით თბილისი ლიდერობს. სამცხე-ჯავახეთი (ბაკურიანი და ბორჯომი) ცნობილია ზამთრის და სამკურნალო ტურიზმით. თუმცა, ზოგადად, მონაცემთა სიმცირე საქართველოს რომელიმე რეგიონის ტურისტული პოტენციალის საფუძვლიანი ანალიზის საშუალებას არ იძლევა.

ცხრილი 8: უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა საქართველოში						
წელი	***2009***	***2010***	***2011***	***2012***	***2013***	***2014***

ვიზიტორები	1 500 049	2 031 717	2 820 185	4 428 221	5 392303	5 515570
ზრდა (%)	16	35	39	56	21	2

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

***